პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

47

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის. კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—78 მდივნის № 29- ...

შაბათი, 1 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 11 მარტი 1922 წ. № 56

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

დღეს, მარტის 11-ს დილის 11 საათზე

საქართველოს სახალხო კომისარ.ა საბჭოს სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნება

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

ამა წლის 12 მარტს, დღის 11 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება

გაერთიანებული საზეიმო კრება პლენუმების: თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების საბჭოს, პროფკავშირების საბჭოსი, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებისა წარმომადგენლობით ნორმით 1 კაცი, 25 წითელ არმიელისაგან

დღის წეს-რიგი:

1. წითელი არმიის 4 წლის თავი.
2. თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავი.
3. გარნიზონის ნაწილებზე შეფობის დაკანონება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ამით ვაცხადებთ მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს წევრთა საყურადღებოდ, რომ თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში, მე 5 № ოთახში, მეკადინეობის საათებში, ამა მარტის 10 დან დაიწყება მოწმობების მიცემა თბილისის ქალაქის საბჭოს წევრებისათვის და ანკეტების შევსება.

საბჭოს ყველა წევრს ვსთხოვთ მობრძანდნენ მოწმობათა მისაღებად და ანკეტათა შესავსებად.

პრეზიდიუმი.

ჩვენი რევოლიუციის რეზერვები

ბურჟუაზიული რეჟიმის სიმტკიცე ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში განიზომება ორნაირი ტერმომეტრით: წარმოების, საგარეო ვაჭრობის და უმუშევრობის სტატისტიკური ცხრილებით ერთი მხრით და მუშათა კლასის კომუნისტური მოძრაობის ზრდით, მეორე მხრით. თუ პირველი იძლევა ევროპის კაპიტალიზმისათვის ფრიად ცუდ ცნობებს, რამაც კერძოთ ინგლისი აიძულა შემდგარიყო რუსეთთან შეთანხმების გზაზე, მეორეს მიხედვითაც იგივე დასკვნამდი მივდივართ.

მკითხველმა იცის რომ მოსკოვში შეკრიბა მესამე კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი, მოწვეული ერთიანი მუშათა ფრონტის საკითხის გასარჩევათ. სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოსული დელეგატების მოხსენებებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ კომუნიზმის ძალები, თუმცა სხვა და სხვა ტემპით, მაგრამ მაინც შეუჩერებლათ იზრდებიან ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. კაპიტალის შემოტევამ აიძულა მუშათა კლასი გადასულიყო აქტიურ თავდაცვაზე იქაც კი, სადაც მასები ძალიან მოიქანცნენ წინანდელ ბრძოლებში, სადაც ისინი განიცდიდენ დროებით აპატიას პოლიტიკური ბრძოლისადმი, ძალაუფლების დასაპყრობათ გამოსვლებისადმი. მუშათა მოძრაობის დღეს დაწყებული გამოცოცხლების პირობებში კომუნისტური პარტიები გამოვიდნენ, როგორც ერთადერთი მედგარი დამცველები პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის. მაშინ, როდესაც მაგალითად გერმანიაში ყველა ეგრედ წოდებულ სოციალისტურმა პარტიებმა უღალატეს პროლეტარიატს რკინისგზელთა გაფიცვის დროს, მხოლოდ კომუნისტები უდგენ მუშათა კლასს მხარში ბოლომდი. მათი გავლენა იზრდებოდა სოციალ-მოღალატეების ხარჯზე, მათი რიგები მრავლდებოდენ იმ მუშების ხარჯზე, რომლებიც სტოვებდენ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს. მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, რაც ბოლოს და ბოლოს ნიშნავს სოციალ-გამცემელთა ბელადების იზოლიაციას, მათ მიმდევარ მუშათა მასებისაგან, ეს ტაქტიკა დადასტურებული შეიქნა პრაქტიკით, მან უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. ევროპის მუშათა მასები მწვავეთ გრძნობენ შეტევაზე გადასულ კაპიტალთან მძიმე ბრძოლაში გაერთიანების საჭიროებას. მაგრამ მათ კიდევ არ ესმით, რომ ამ გაერთიანების მიღწევა შეიძლება მხოლოდ **მათი ბელადების ნება-სურვილის წინააღმდეგ,** მასებისაგან მათი იზოლიაციით, მუშათა მოძრაობიდან მათი განდევნით. ეს არ ესმით მათ ჯერ კიდევ, მაგრამ ამას გაიგებენ გამოცდილებით, ბრძოლის პროცესში, როდესაც მათი ცდა კაპიტალის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შეკვრის შესახებ მათ ბელადებს თავს ამოაყოფინებს ერთ ფრონტში ბურჟუაზიასთან, როგორც ამას ჰქონდა ადგილი გერმანიაში რკინისგზელთა გაფიცვის დროს. შეიძლება ამ გზით ჩქარა ვერ იქნეს მიღწეული მიზანი მუშათა გაერთიანების—ცხადია ამ გზით უფრო ნელი ნაბიჯით იწარმოებს მუშათა კლასის გაერთიანება, კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, ვინემ ეს მოხდა რუსეთში 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე—მაგრამ მხოლოდ მუშათა მოძრაობის ახლათ დაწყებული აღორძინების და ჯერ კიდევ არ დაწყებული პროლეტარული რევოლიუციის პირობებში ე. ი. ისეთში, როგორიც არის დღეს ევროპაში, არ არის სხვა უფრო მოკლე გზა მუშათა კლასის გაერთიანებისათვის კომუნისტური პარტიის ირგვლივ, ვინემ ის, რომელსაც დაადგა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი.

დღეს მთელი ევროპის პრესა ყოველმხრივ უდგება და არჩევს იმ კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია გენუის კონფერენციასთან. ის ბევრს ყურადღებას აქცევს დიპლომატიურ გამარჯვებას ან დამარცხებებს კაპიტალის მესვეურებისას, მიღწეულ შეთანხმებებს ან ამ შეთანხმებების უარისყოფას. მაგრამ ეს მეექვსე დიდი სახელმწიფო, როგორც უწოდებენ პრესას, ხშირად ივიწყებს იმ მეშვიდე სახელმწიფოს, რომელსაც წარმოადგენს უკვე კომუნისტური მუშათა მოძრაობა ევროპის ქვეყნებში. ამ მძლავრი ძალის ზრდის შემხედვარეებმა, ჩვენ, კარგათ ვიცით, რომ სწორედ მას ეკუთვნის უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს ამ ჟამად საბჭოთა რუსეთი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

წლევანდელი გაზაფხული

საერთაშორისო იმპერიალიზმი ანტანტას მეთაურობით ოთხი წელიწადია, რაც იძულებით იტანს საბჭოთა რუსეთის,—ამ სოციალისტურ რევოლიუციის ქვეყნის არსებობასა და მეზობლობას.

ზოგჯერ პირზე დორბლმორეული და აშკარათ იარაღით ხელში და ზოგჯერაც ორმაგი ბუღალტერიითა და შემპარავი კილოთი ებრძვის ის ამ საერთაშორისო რევოლიუციის ბუდეს, მაგრამ ამათო...

ცხოვრებისაგან განწირული და სამარეში სანახევროთ ფეხჩადგმული კაპიტალიზმი ცხოვრების მწარე გაკვეთილებს მაინც ვერ ურიგდება, მის წინაშე თვალებს იბრმავებს და რუსეთთან დამოკიდებულებაში ისევ განაგრძობს ძველი გზით სვლას, თუმცა ძველ სიძლიერის დაკარგვის გამო, ძველი ენერგიით კი ვერა.

იმ დროს, როდესაც ანტანტა რუსეთს, გენუის კონფერენციაზე ეპატიჟება და მთელი ქვეყნიერობის წინაშე ხმამაღლა ლაპარაკობს მტკიცე ზავსა და მშვიდობიანობაზე, მისი შემადგენელი ზოგიერთი სახელმწიფოები ფერფლ მიყრილ ნაკვერჩხალს სულს უბერავენ, რუსეთის წინააღმდეგ ცეცხლის დასანთებათ, ახალ სისხლის ღვრების გამოსაწვევათ.

ამ მხრივ ავანტიურის სეზონათ განსაკუთრებით გაზაფხული ითვლება. ყოველი გაზაფხულის დასაწყისში ითხზება გეგმები რუსეთის შინაურ საქმეებში შეიარაღებულ ჩარევისთვის. ამინდის დათბობა კონტრრევოლიუციას კონტრრევოლიუციონურ იმედებს უშლის და ფიქრობს ბუნების აყვავებას რუსეთის რევოლიუციის დაჭკნობა დაასწრონ, მაგრამ ფიქრები უმტკუნდებათ, კოვზი ნაცარში უვარდებათ და მათი ხმა თანდათან ჩახლეჩილი ხდება. მაგალითად შარშან და შარშან წინ მათი მუქარა თუ საფრთხეს წარმოადგენდა, დღეს მას ასეთი ხასიათი სანახევროთ მაინც დაკარგული აქვს. ამ მხრივ ძალთა განწყობილებაში საგრძნობი ცვლილება მოხდა და ახლა საკითხია ვინ ვისთვის წარმოადგენს საფრთხეს. ინტერნაციონალური ძალების ზრდა მსოფლიო მასშტაბით და ამავე მასშტაბით კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავება რუსეთს მაგარ ზურგს უქმნის იმ დროს, როდესაც მის მტრებს სამარეს უთხრის.

დიდ ანტანტის ფაქტიურათ დაშლას, თან მოჰყვა მცირე ანტანტის დაშლაც და შარშან მცირე ანტანტის იმედით თუ დიდი გეგმები არსებობდა, წელს ეს ანტანტა მხოლოდ პოლონეთსა და ფინეთზე ჩამოხურდავდა. მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან, წყალწაღებულნი ხავს ეკიდებიან და ახლა დიდი იმპერიალიზმის ქოფაკები ჩვეულებრივი და ნაცადი გზით ამ პატარა ერთა, მაგრამ დიდი იმპერიალისტურ მადის ხალხს აქეზებენ და აგულებენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსასვლელათ. რუსეთის ტერიტორიიდან გადარეკილი რუსეთის თეთრ გვარდიელობა, ფეხზე სდგება ვილაცას და რაღაცას იმედით, თავის ისედაც შეთხელებულ ძალების მობილიზაციას ახდენს და საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტათ გამოდის მისი „სამშობლო“ რუსეთის დაპყრობა დამონების საქმეში.

ამ ჟამად ბევრი იწერება და კიდევ უფრო ბევრი მსჯელობა სწარმოებს უცხოეთის პრესაში ფინეთ-პოლონეთის თავდაცვითი კავშირის შესახებ. ჩვენთვის ცხადია თუ რა თავდაცვითი კავშირი იქნება ეს კავშირი და გასაგებია ისიც, თუ ამაზე დღეს ასე ბევრს რისთვის ლაპარაკობენ. კარგათ ვიცით, თუ საიდან მომდინარეობს იდეა ამ კავშირისა და ან რა სარჩული აქვს მას. ეს გარდა იმისა რომ ბურჟუაზიის ჩვეულებრივი თაღლითობა და მხაკვრობაა, გენუის კონფერენციაზე ანტანტის იმპერიალიზმისთვის კოზირის ხელში მიცემაა და მით ამ იმპერიალიზმის განავარდებისათვის ერთგვარი გზის გაკაფვაა.

უნდა ითქვას რომ წლევანდელი გაზაფხული არა გავს წინა წლების გაზაფხულს და ტყვილათ ასულდგმულებს ამათ იმედები იმპერიალისტების ამ ფინიებს. მართალია რუსეთი კვლავ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, მაგრამ მასში დიდი იდეური და მორალური ძალაა, ის თავის შინაურ ძალებით ასე ერთსულოვანი და შედუღებული არასოდეს ყოფილა, როგორც დღესაა და ამიტომ მისი დამარცხება არც მთლად ისე იოლია. სრულიად საბჭოთა მე 9 ყრილობაზე ეს გარკვევით ითქვა, ფედერატიულ რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებმაც გარკვევით დაადასტურა და ნათქვამი ხვალ საქმითაც შესრულდება თუ მტერი თავისას არ მოიშლის.

გ. მეზუკე

თებერვლის რევოლიუციის მე-5 წლის თავი

1) სწორედ 5 წლის წინად რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ძირს ჩამოაგდეს ნიკოლოზ მეორე და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, რომელიც შესდგებოდა ბურჟუაზიულ-მემამულეთა პარტიების წარმომადგენლებისაგან.

2) ომისაგან მოქანცულმა და დაშლილმა თავდაცვითი პროპაგანდით რუსეთის მუშათა კლასმა შეძლება მისცა ბურჟუაზიას ხელში ჩაეგდო ძალა უფლება.

3) რუსეთის ბურჟუაზია, რომლის დასაცავად ძლიერ სუსტი ჯავშანი გამოდგა ცარიზმი, თებერვლის რევოლიუციის პირველ პერიოდში აწარმოებდა სახელმწიფოებრივ მუშაობას ომის საბოლოო გამარჯვებისათვის „თავის კლასიური ინტერესების დასაცავად“.

4) რუსეთის სოციალისტური პარტიები—ესერები და მენშევიკები, მხარს უჭერდნენ რა დროებით მთავრობას, ამით ნამდვილად ისინი ანხორციელებდნენ ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის კაპიტალის პოლიტიკას.

5) რუსეთის ბურჟუაზიამ დროებით მთავრობის სახით არ შეასრულა თავის ისტორიული მისია—არ მოსპო ფეოდალურ წესწყობილების ნაშთები.

6) მაგრამ მემამულეთა და ბურჟუაზიის მთავრობის გვერდით მით უფრო მძლავრად დაიწყო აღმოცენება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მომავალ ორგანოების ჩანასახმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა.

7) დროებით მთავრობაში სოციალისტების შესვლის შემდეგ, კერენსკის დროს (ამ ორი სახელმწიფოებრივი ძალის ბრძოლამ ბურჟუაზიული დროებით მთავრობა და მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები) ფაქტიურად შექმნა რუსეთში ორი სახელმწიფო.

8) მთელ ამ პერიოდის განმავლობაში ბურჟუაზიის ხელისუფლებამ საშინელი სისწრაფით დააჩქარა კლასიურ წინააღმდეგობათა განვითარება, ხელი შეუწყო პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების გამორკვევას და გლეხურ მასებში დაჰბადა რევოლიუციონური სული თავის გაუბედაობით აგრარულ რეფორმას განხორციელებისა და ომის შეწყვეტის საქმეში.

9) ჩამოაცილდნენ რა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს 1917 წ. ოქტომბრის სახელოვან დღეებში მუშათა მასებმა და ჯარისკაცებმა—იგივე გლეხებმა აიღეს ხელში მთელი ძალაუფლება.

10) ამოგლიჯა რა წოდებრივობის უმთავრესი ძირები: ბატონყმობის და ფეოდალიზმის ნაშთები მიწათმოქმედებაში, ოქტომბრის რევოლიუციამ მიიყვანა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია ბოლომდი.

11) ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო ნაციონალური ჩაგვრა, ქალთა უთანასწორობა, ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფოებრივი უპირატესობა და ძველი მეფის არმია. საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში რაღაც 10 კვირაში გააკეთა ამ სფეროში ათასჯერ უფრო მეტი, ვიდრე კადეტებმა წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატებთა—მენშევიკებსა და ესერებთან ერთად თავის ბატონობის 8 თვის განმავლობაში.

12) პირველი პროლეტარული რევოლიუციის წყალობით საბჭოთა რუსეთი რევოლიუციონური გზით მოვიდა იმპერიალისტური ომიდან და ამით გაანთავისუფლა რუსეთის ხალხი ინგლის საფრანგეთის კაპიტალის დამოკიდებულებისაგან.

13) ოქტომბრის რევოლიუციამ გადასცა მთელი ძალა უფლება მუშათა გლეხთა საბჭოებს და ჩაეყარა საფუძვლები ახალ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს.

14) თებერვლის რევოლიუცია სტიმული იყო ამიერ-კავკასიის ხალხების ნაციონალურ აღორძინებისათვის, მაგრამ ბურჟუაზიულმა და წვრილმა ბურჟუაზიულმა პარტიებმა (მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა) გამოიყენეს იმ ნაციონალურ ანტაგონიზმის გასაღვივებლად, რითაც მათ დაქსაქსეს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძალები და ჩამოაშორეს რუსეთის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას.

15) ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს მუშურ გლეხურ მასების გამოფხიზლების პროცესი მუშათა მსხვილ ცენტრების უქონლობის გამო მიმდინარეობდა უფრო ნელა ვიდრე რუსეთში; ამიტომ ქართველმა მენშევიკებმა გამოიყენეს ეს ნდობა მუშურ-გლეხურ მასებისა, შეკრეს ბლოკი ბურჟუაზიულ—მემამულეთა და ნაციონალისტურ პარტიებთან და 1917 წლის შემოდგომაზე გამოიყვანეს რუსეთს და დააარსეს სეიმის შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომელშიდაც შევიდნენ ერთი მხრით ბურჟუაზიის და მემამულეების წარმომადგენლები (სომეხი დაშნაკელები, აზერბეიჯანის მუსავატელები), მეორე მხრით სოციალ-შეთანხმებლები (მენშევიკები, ესერები, და სოციალისტ-ფედერალისტები) ამიერ კავკასიის გამოყოფა რუსეთიდან მოხდა მხოლოდ იმიტომ რომ იქ დამყარდა საბჭოთა წესწყობილება და მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

16) ამიერ კავკასიის დაშლის შემდეგ სამ „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად საქართველოში გამტკიცდა მენშევიკური პარტიის დიქტატურა, ე. ი. წმინდა ბურჟუაზიული რეჟიმი. საბჭოთა რუსეთსა და ამიერ-კავკასიის შორის თეთრგვარდიელთა ბაზის ლიკვიდაციასთან ერთად რევოლიუციონურმა მოძრაობამ ამიერ-კავკასიაში რუსეთის წითელი არმიის დახმარებით, თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავზე მოგვცა აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები.

17) 12 მარტის დღესასწაული—ამავე დროს დღესასწაულია თვითმპყრობელობის დამხობისა.

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება.

ბრძოლა შიმშილობასთან

საქართველოს დამშეულთა დახმარების სამდღეულის გადადება

საქართველოს დამშეულთა დამხმარების სამდღეული, რომელიც დანიშნული იყო 11, 12 და 13 მარტს, გადადებულია 18, 19 და 20 მარტისთვის.

დამშეულთა მთავარი კომიტეტი

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი გადავიდა მიწად მოქმედების კომისარიატის ბინიდან რუსთაველის პროსპექტზე, რადეულოვის ყოფილ სახლში № 24, სადაც იღებენ ყოველგვარ შემოწირულებას საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

ცირკულიარი № 135

ყველა რაიონულ კომიტეტებს

ამხანაგებო!

საქართველოს დამშეულ მცხოვრებთა დამხმარე მთავარი კომიტეტი უდგება 3 დღის განმავლობაში შემოწირულების აკრების ორგანიზაციას. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ორგანიზაციების ყველა წევრებს და ამხანაგებს, რომელნიც საბჭოთა ორგანოებს სათავეში უდგანან, გაუწიონ ყოველგვარი დახმარება ზემო აღნიშნულ კომისიას და ხელი შეუწყონ აკრების წარმატებას. ამასთან ერთად თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიონულ კომიტეტებს აწარმოონ სათანადო აგიტაცია რაიონებში.

თბ. კომიტეტის მდივნის მაგ. **ივანოვი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **რუბენი.**

დ. ჩხარი

დღეს არავისთვის ახალი ამბავი არ არის შიმშილი, მოუსავლობა, გვალვა და სხვა ერთ დროს ნაქები მხარეში, როგორიც არის შორაპნის მაზრა და მასში ჩხარის რაიონი, დღეს აქაური მცხოვრებლები პირდაპირ შიმშილს განიცდიან. წარსული წლის გაზაფხულის გვალვებმა და შემოდგომის გამუდმებულმა წვიმებმა და ცივმა ამინდებმა სულ ერთიანათ გააფუჭა ნათესი სიმინდის ყანები. არამც თუ მარტო ამ გასულ წელს, არამედ შარშან წინაც ძალიან ცუდი მოსავალი იყო, ჯერ შარშანაც ადგილობრივი მცხოვრებლები გაეშურენ გურია-სამეგრელოსაკენ. მიჰქონდათ ღვინო, ოჯახის ნივთები და სხვა რამეები, სცვლიდნენ სიმინდზე და როგორც იქნა გაიტანეს თავი გასული წლის შემოდგომამდის. შემოდგოზე ძალიან მცირე მოსავალმა, საგონებელში ჩააგდო ხალხი. როგორც კი დაათავეს ვენახის მორთვლა, მაშინვე იწყეს გამგზავრება გურია სამეგრელოში სიმინდის შესაძენათ. დაიწყეს ზიდვა, სიმინდზე გადასაცვლელათ წელს ჩვენს რაიონში საკმაოთ მოსულ ღვინოსი. ყოველდღე ნახავთ ასობით გლეხებს, რომლებიც ზურგით ეზიდებიან ორ-სამ ფუთ ღვინოს მახლობელ სადგურამდის, ჩადიან მატარებლით გურია-სამეგრელოში, სცვლიან სიმინდზე და ბრუნდებიან შინ. მაგრამ ამ უკანასკნელათ ბილეთების (მატარებლის) გაძვირებამ, შეაჩერა ეს ხალხი, და ჩააგდო დიდ გაჭირვებაში. ადგილობრივ კოოპერატივებს არა აქვთ საშუალება, რომ შეიძინონ სიმინდი და მოიტანონ ხალხში დასარიგებლათ.

ხალხი პირდაპირ დაშინებული ყავთ ამ კოოპერატივებს. წინათ, მენშევიკების დროს. ეუბნებოდნენ, შემოიტანეთ ფული და ჩვენ მოგიტანთო. გლეხებს შეჰქონდათ ფული და სიმინდს კი ვერ ღებულობდნენ.

არც ადგილობრივ აღმასკომებს აქვთ საშუალება მიაწოდონ ხალხს სიმინდი. საჭიროა მიაქციოს ამ გარემოებას მთავრობამ სათანადო ყურადღება, შეღავათიან ფასით, ან უფასოთ მისცეს საშუალება მატარებლებით მოგზაურობისა შორაპნის მაზრის გლეხებს: რასაკვირველია ეს იქნება დროებით, სანამ, მოსავალი მოუსწრებდეს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტმაც უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, რითაც დიდ დახმარებას გაუწევს შორაპნის მაზრის დამშეულ მცხოვრებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილი უფრო მოიმატებს და ფართო ხასიათს მიიღებს.

დახმარება და ყურადღების მიქცევა მთავრობის მიერ, საჭიროა რაც შეიძლება მალე, რადგან გაზაფხულის თესვის კამპანიაც უკვე მოახლოვებულია.

მექი.

დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლა წითელ-არმიაში გაწვეულთა

(თეზისები)

1) საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ნაწილობრივი მობილიზაცია და გაიწვია ახალგაზრდობა ქართულ წითელ ჯარში.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის სიმტკიცე და დამოუკიდებლობა მთლიანათ დამოკიდებულია ბრძოლის უნარიან წითელ ლაშქრის შექმნაზე, რომელსაც შეეძლება ქვეყნის დაცვა ანტანტის ყაჩაღთა დამქაშების შესაძლებელ თავდასხმისაგან.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს მუშები და გლეხები არ უნდა შეჩერდნენ არავითარ მსხვერპლის წინაშე.

2) ჩვენ ამ ჟამად გვაქვს სრული შესაძლებლობა ქართული წითელი ჯარის შექმნისა, თუმცა პატარა ჯარისა, მაგრამ აგებულის მტკიცე, გეგმიან და მეცნიერულ საფუძველზე. ქართული წითელი ჯარი უნდა იქნეს ერთ-ერთი უმთავრესი ძალთაგანი, რომელიც იქნება საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდნობი სიმაგრე.

3) მობილიზაციით გაწვევის თავიდან აცდენა და აღნიშნულ ვადაში შესაკრებ პუნქტებზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს სამარცხვინო დეზერტირობას და გამცემლობას თავის საკუთარ მუშათა და გლეხთა ძალა უფლების მიმართ.

4) საბჭოთა ხელისუფლებამ, თავის ორგანოების ადგილობრივ საბჭოებისა და აღმასკომების სახით, პარტიამ და პროფკავშირებმა უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები წესიერ და თავის დროზე მობილიზაციის გატარების. დეზერტირობის შეწყვეტის და ორი კვირის ვადაში ნებაყოფლობით გამოცხადებისათვის, ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო აგიტაციის შემდეგ მობილიზაციის თავიდან ამცდენთა წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული დასჯის მკაცრი ზომები.

5) საქართველოს კომპარტია დარწმუნებულია, რომ საქართველოს მშრომლები გაიგებენ, რომ მათ იწვევენ არა მემამულეთა, თავადთა და მდიდართა ინტერესების დასაცავად, არამედ თავის საკუთარ შრომის, მუშისა და გლეხის ინტერესებისათვის და ყველა როგორც ერთი კაცი დასდგება ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის დაცვის სადარაჯოზე.

ც. კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყ. გამგე **კახიანი.**

ამხ. ლენინის სიტყვა

მელითონეების ყრილობაზე

მოსკოვი 8 მარტი (რადიო). 6 მარტს ამხ. ლენინი გამოვიდა მელითონეების ყრილობაზე შემდეგი სიტყვით: არის რაღაც ისეთი ჩვენ შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაში, რაც წაადგება ერთგვარ დატეხას პოლიტიკაში და რაც მოითხოვს პარტიულ და შეგნებულ ყოველ მუშისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ეს გარდატეხა გარდაქმნას თავის მუშაობაში. თქვენ, რასაკვირველია ყველამ იცით, რომ საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ საკითხად რჩება გენუა. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გენუაზე ვგულისხმობთ ყველასთვის დიდი ხნით ცნობილ კონფერენციას, თითქმის სრულიად მოზადებულ კონფერენციას, მაგრამ რომელიც ამ ჟამად იმყოფება ისეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში, რომ არავინ არ იცის და მე ვშიშობ, რომ გენუის თითონ ინიციატორებმა და მოწვევებმაც არ იციან—აქვს თუ არა მას შანსები მოეწყოს, თუ ეს შანსები მას სრულებით არა აქვს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პოზიცია ამ მხრივ იყო სავსებით მტკიცე და ასეთივე დარჩა ის აქამდის. ჩვენი ბრალი არაა, თუ სიმტკიცე და ელემენტარული გამბედაობაც კი, თავის ზრახვების შესრულებისათვის, ელემენტარული ნიჭი არ ყოფნის ვიღაც სხვას. ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ გენუას ვესალმებით და მის კონფერენციაზე მივდივართ. ჩვენ მშვენივრად გვესმოდა რომ იქ ჩვენ მივდიოდით როგორც ვაჭრები, იმიტომ (გამოშვებულია). რუსები და უცხოელები ამ ჟამად ეუარებულია, ამიტომ იმის პრაქტიკული საფუძველი, რაზედაც გენუაზე იქნება ლაპარაკი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ძალიან კარგათ ვიცით. თუ ამ საფუძველს დამატებითად აქვს ზედნაშენი ყოველ ნაირი პოლიტიკური ლაპარაკის წინასწარი გათვალისწინების სახით, ეს მხოლოდ მცირე ზედნაშენია. ბურჟუაზიული ქვეყნები იძულებული არიან დაიწყონ ვაჭრობა რუსეთთან, და იმათ იციან, რომ თუ არ აღადგინეს ეკონომიური ურთიერთობა მათი დაშლა კიდევ უფრო განვითარდება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აქამდი. ყველაზე უფრო ადვილი ამოცანა ის კი არაა, რომ აშენო ახალი, არამედ აღადგინო მხოლოდ ძველი რის დაძლევაც არ შეუძლიათ მათი უდიდესი გამარჯვებების 3 წლის შემდეგაც. მე მესმის, რომ კომუნისტმა ისწავლოს ვაჭრობა, ამისათვის მართლაც საჭიროა დრო და რომ ყველა ის, ვისაც სურს ამის შესწავლა დასაწყისში რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩაიდენს საგრძნობ შეცდომებს. მაგრამ რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წარმომადგენლებს დასჭირდეს ხელახლა ვაჭრობის საქმის შესწავლა, რაზედაც აშენებულია მთელი მათი საზოგადოებრივი ყოფა ცხოვრება, ეს კი საკვირველია.

ჩვენ ომს ვაფასებთ უფრო ღრმათ და სწორად. მისი წინააღმდეგობები და საშინელებანი, მოქმედებენ გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე ამას ფიქრობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები. ცხედავთ რა გამარჯვებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მდგომარეობას ჩვენ ვამბობთ, რომ იმათ მოაგონდებათ ჩვენი წინასწარმეტყველება. ჩვენ არ გვიკვირს ის გარემოება, რომ ისინი გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდენ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ სანამ კაპიტალისტური სახელმწიფოები არსებობენ ჩვენთვის საჭიროა მათთან ვაჭრობის წარმოება. მათთან მოსალაპარაკებლათ ჩვენ მივდივართ როგორც ვაჭრები და რომ ჩვენ შეგვიძლია ამის განხორციელება, ამას ამტკიცებს სავაჭრო ხელშეკრულებათა რიცხვი და ზრდა. ჩვენ არ შეგვიძლია მათი გამოქვეყნება სანამ ისინი არაა ხელმოწერილი. როდესაც ჩვენთან მოდის ვაჭარ-კაპიტალისტი და ამბობს—„სანამ ჩვენ არ დავუსრულებია მოლაპარაკება ეს ჩვენ შორის უნდა დარჩესო" რასაკვირველია ამაზე უარის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ კი ვიცით რამოდენი ხელშეკრულება ნზადდება. მარტო მათ სიას უკვეა რამდენიმე გვერდი და მათ რიცხვში არიან უკვე განხილული კონკრეტიულად და პრაქტიკულად თვალსაჩინო ფინანსთა წრეების წინადადებები. რასაკვირველია ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ბატონმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ემზადებოდნენ გენუისათვის, ჩვენზე ცუდათ არ იციან ყველაფერი ეს. ამიტომ თუ საზღვარგარეთელ დეპეშებში ჩვენ ხშირად ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, თითქო მათ არ ჰქონდათ სწორად წარმოდგენილი თუ რა მოხდება გენუაში, თითქო მათ უნდათ მსოფლიო გააკვირონ იმით, რომ წარუდგინენ რუსეთს ახალ პირობებს, მაშინ მე ნება მომეცის ვთქვა და მე იმედი მაქვს, რომ შევსძლებ უთხრა პირადათ ლოიდ ჯორჯს გენუაში: „თქვენ, ბატონებო, ამით ვერავის ვერ გააკვირვებთ, თქვენ კომერციის ხალხი ხართ, ვაჭრობთ სამაგალითოდ. ჩვენ კი ვაჭრობას მხოლოდ ეხლა ვეჩვევით და ვვაჭრობთ ძლიან ცუდათ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ათეულები და ასეულები ხელშეკრულებებისა და ხელშეკრულებების პროექტებისა, საიდგანაც ჩანს თუ როგორ ვაჭრობთ ჩვენ". თუ ჩვენ ვხვდებით გაზეთებში ცნობებს, რომლებიც გამოშვებულია იმ განზრახვით რომ შეგვაშინონ, ჩვენ ამაზე გულდამშვიდებით ვიღიმებით. მუქარა ჩვენ საკმაოდ ვნახეთ და ამასთან უფრო სერიოზული, ვიდრე მუქარა ვაჭრობისა, რომელმაც როგორც იტყვიან შამოგვ ძლია რა თავის უკანასკნელი ფასი გულ მოსული ეხზადება კარების მისახურავად. ჩვენ ვნახეთ მუქარა ზარბაზნებით, მაგრამ ამ მუქარამ ჩვენ ვერ შეგვაშინა და ამას, ევროპის ბატონო, დიპლომატებო, გთხოვთ ნუ დაივიწყებთ. ჩვენში არც ერთ მუშას და გლეხს არ დავიწყებია და არასოდეს არ დაავიწყდება, რომ ის იცავდა რა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, იბრძოდა უძლიერესი სახელმწიფოების კავშირის წინააღმდეგ, რომლებიც დახმარებას უწევდენ ინტერვენციას. ჩვენ გვაქვს ხელშეკრულებების მთელი კოლექცია, რომლებსაც კრავდენ ეს სახელმწიფოები მთელ რიგ წლების განმავლობაში კოლჩაკებთან და დენიკინელებთან. ისინი გამოქვეყნებულია, ჩვენ ისინი ვიცით და იცნობს მათ აგრეთვე მთელი ქვეყანა. რისთვის თამაშობენ ამ კეკემალურობას? ყოველმა მუშამ და გლეხმა იცის, რომ ის ებრძოდა ამ სახელმწიფოებს და რომ ამ უკანასკნელებმა მაინც ვერ გაიმარჯვეს. თუ თქვენ გსურთ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ბატონო წარმომადგენლებო, გაირთოთ თავი და ხარჯოთ ქაღალდი—ის თქვენ ძალიან ბევრი გაქვთ, მეტი ვიდრე ჩვენ—და დატვირთოთ თქვენი რადიო სადგურები იმით, რომ შეატყობინოთ მთელ მსოფლიოს: „ჩვენ რუსეთი ჩავაყენეთ გამოსაცდელ მდგომარეობაში", ჩვენ კიდევ მომავალში ვნახავთ ვინ ვის ჩააყენებს ასეთ მდგომარეობაში. ჩვენ უკვე ნაცადი ვართ არა სიტყვებით, არა ვაჭრობით, არა მანეთით არამედ კეტით; მე უკვე ვთქვი, რომ ვფიქრობ პირადათ მოველაპარაკო გენუაში ლოიდ-ჯორჯს და ვუთხრა მას, რომ ასეთი უბრალო რამეებით ჩვენ შეშინებას ნუ დაიწყებენ. მე იმედი მაქვს, რომ ამას ხელს არ შეუშლის ჩემი ავადმყოფობა, რომელიც რამდენიმე თვეა საშვალებას არ მაძლევს მივიღო უშუალო მონაწილეობა პოლიტიკურ საქმეებში და სრულიად არ მაძლევს ნებას შევასრულო საბჭოთა სამსახური, რომელზედაც მე ვარ დაყენებული. ჩვენ პანიკაში არ ვვარდებით ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გამო. ჩვენ ამ ჟამად გვაქვს ათეული ხელშეკრულებები. თუ ვაჭარი არაა სავსებით ველურ ქვეყნიდან, ის არ შეკრავს პირობას მთავრობასთან, რომელიც თავის მდგომარეობით არ წარმოადგენს მტკიცე და საიმედო სახელმწიფოს. ვაჭარი, რომელიც ამას ვერ გაიგებს იქნება ვაჭარი კი არა, არამედ რეგვენი. თუ წინად ასე აფასებდნენ: შემოგიტია შენ დენიკინმა, დაამტკიცე, რომ შენც შეგიძლია მისი შეტევა,—ეხლა შეფასება სხვანაირია: გაჭამა შენ ვაჭარმა, დაამტკიცე, რომ შენ შეგიძლია აიძულო ის დასდოს შენთან ხელშეკრულება. ჩვენ ეს დავამტკიცეთ.

ჩვენ უკვე გვაქვს რუსეთის და ევროპის მეტად მსხვილ კაპიტალისტებთან დადებული ხელშეკრულებების მთელი რიგი. ჩვენ ვიცით რისთვის მოდიან ისინი აქ. იმათ იციან რისთვის მივდივართ ჩვენ იქ. ეხლა მუშაობის ამოცანა ჩვენთვის რამოდენიმედ იცვლება. ეხლა ჩვენ უნდა ვთხრათ: კმარა, ხვალ თქვენ ვერაფერს ვეღარ მიიღებთ. თუ საბჭოთა ხელისუფლების და მისი გამარჯვებების ისტორიამ მათ არავერი ასწავლათ, მაშინ როგორც ჯნებოთ. მე იმედი მაქვს, რომ (დამახინჯებულია) დაადასტურებს, რომ ჩვენ კიდევ აღარ დავიხევთ უკან, რომ უკან დახევა დასრულდა და ამასთან დაკავშირებით იცვლება ჩვენი მუშაობა. ჩვენ ხშირათ ვიმყოფებით ისეთი ადამიანების მდგომარეობაში, რომლებიც ყოველთვის სხდომებს მართავენ, ადგენენ კომისიებს და პლანებს დაუსრულებლად. დაგვრჩა ძველი ნაშთი: საჭიროა მისი დამსხვრევა, რომ იქნეს ამას რაიმე აზრი. ამის შესახებ ჩვენ უნდა შევხედოთ ჩვენ მდგომარეობას ყოველგვარ ილიუზიებს გარეშე. ჩვენ შევქმენით ამ რევოლიუციაში ისე ბევრი, რაც უკვე იცის მთელმა მსოფლიომ, რომ შეშფოთება და ნერვიულობა ყოველ-შემთხვევაში არაა საჭირო, როდესაც მომავალში ჩვენ უნდა გაუძლოთ კაპიტალისტებთან ბრძოლას, ჩვენ გაბედულათ უნდა გავატაროთ ჩვენი ახალი გზა. ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ორგანიზაცია. საკომერციო წარმოებებში არ აღმოჩნდენ ისეთები, რომლებსაც ჰქონდეთ ამ სფეროში საჭირო გამოცდილება. ჩვენში უმეტესათ სათავეში (დამახინჯებულია) აყენებენ კომუნისტს—კომუნიზმისათვის ბრძოლაში გამობრძმედილ და პატიოსან ადამიანს. ის შემკულია როგორც კომუნისტი ყველა ღირსებებით, მაგრამ ვაჭარი დამახინჯებულია)... (გამოშვებულია)... დეკრეტების პრაქტიკულად გასატარებლად, რომლებიც მოგვეპოვება კარგა ბლომად. იმის შემდეგ, რაც ჩვენ დავიწყეთ პარტიის გაწმენდა და დავსაჯეთ პარტიაზე მიტმასნილი „შკურნიკები" და ქურდები, ჩვენ უფრო მოღონიერდით: ჩვენ შეუბრალებლად გავაძევეთ ასი ათასები და პარტიის ყრილობაზე ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ როგორც საჭიროა. მაშინ, მე ვფიქრობ იმ ათი ათასებს, რომლებიც ეწყობიან სხვა და სხვა კომისიებში და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ ეწევიან, ეწვევათ იგივე ბედი. აი, როდესაც ამ სახით გავსწმენდთ ჩვენ პარტიას, ჩვენ ანგარიშს გაუწევთ ფაქტიურ მუშაობას და ჩვენ გავიგებთ იმას ისე, როგორც ეს გვესმოდა სამხედრო სფეროში. რასაკვირველია ამ მუშაობას რამოდენიმე თვე კი არა, არამედ რამოდენიმე წელიწადი დასჭირდება. ჩვენ ამ საკითხში უნდა გამოვიჩინოთ სიმტკიცე. ჩვენ არ გვეშინია ვთქვათ, რომ ჩვენი მუშაობის ხასიათი გამოიცვალა. ჩვენი მტერი—ის კომუნისტია, რომელიც ვერ მიეჩვია. საქმის დაუსრულებლობასთან ბრძოლას და მას ხელს აფარებს. ასეთ მტერისაგან ჩვენ თავი უნდა გავინთავისუფლოთ და ყველა შეგნებულ მუშებისა და გლეხების საშუალებით ჩვენ მას მივწვდებით. ამ მტერის წინააღმდეგ, ამ უაზრობისა და „ამლომოვშჩინის" წინააღმდეგ წავა გამოუკლებლათ უპარტიო მუშა-გლეხთა მთელი მასა კომინტერნის მოწინავე ავანგარდის ხელმძღვანელობით. ამ შემთხვევაში არავითარ ყოყმანს ადგილი არ უნდა ექნეს. გენუით თამაშობა ჩვენ ვერ დაგვაწყებიებს ყოყმანს. ჩვენ მივდივართ ვაჭრებთან და განვაგრძობთ რა ჩვენ დათმობის პოლიტიკას წავალთ მათთან ხელშეკრულებების დასადებათ. მაგრამ ამ დათმობის საზღვარი უკვე გამორკვეულია. ის რაც ჩვენ აქამდი მივეცით ვაჭრებს ჩვენ ხელშეკრულებების ძალით და ის, რაც ჩვენ ვქენით უკან დახევის აზრით ჩვენ კანონმდებლობაში უკვე საკმარისია, მეტი დათმობა ჩვენ არ შეგვიძლია.

ჩვენ უნდა გავსინჯოთ მათ მიერ საქმის ფაქტიური შესრულება. შემდეგი გაწმენდა უნდა მოხვდეს იმ კომუნისტებს, რომლებსაც უსაფუძვლოდ თავი მოაქვთ ადმინისტრატორებად. შეიხედეთ საპროპაგანდო სფეროში (გამოშვებულია)... ახზავენ რამე ახალს, ბრძნულს, თავს იმართლებენ იმით, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში უნდა მოიგონ რამე ახალი და ის საქმე, რომელიც მათ დაევალათ არ კეთდება. ისინი არ ზრუნავენ გაუფრთხილდენ თვითეულ კაპეიკს რომელიც მათ მისცეს არ ცდილობენ გადააქციონ ის ორათ. აი, ამ ბოროტების წინააღმდეგ ჩვენ დავიწყებთ ბრძოლას. გასინჯვა ხალხის, გასინჯვა საქმის ფაქტიური შესრულებისა—ეს არის ეხლა მხოლოდ ჩვენი მუშაობის და პოლიტიკის დედა ძარღვი. ჩვენ ოფიციალურათ უნდა ვთქვათ პარტიის სახელით, თუ რაში მდგომარეობს მუშაობის დედა ძარღვი და ამასთან შეფარდებით გადავ ხალისოთ ჩვენი რიგები. მაშინ ჩვენ ამ ახალ სფეროდან გამოვალთ ისეთივე გამარჯვებულები როგორც ვიმარჯვებდით აქამდი მუშაობის ყველა დარგებში, რასაც ბოლშევიკური პროლეტარული ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერდა გლეხური მასა. ბოლო არაა მიღებული ...

გენუას კონფერენციის შესახებ

ექვსი თვით გადადება

ბორდო. 1 მარტი. ლონდონიდან მოსულ ცნობით ექსპერტების კომისია შეთანხმდა იმ წინადადებების ფორმულის შესახებ, რომელიც ბენეშმა წარუდგინა ლოიდ ჯორჯს, რომლითაც ირკვევა საბჭოთა რუსეთისადმი მიმართული მოქმედების ხაზი. რუსეთს იურიდიულად აღიარებაზე უარი უნდა ეთქვას. იმ პირთ, რომლებიც სდგანან რუსეთის ხელისუფლების სათავეში, წინადადება უნდა მიეცეთ მოახდინონ ევროპასთან ეკონომიურ თანამშრომლობის ცდა, რომელიც განსაზღვრული უნდა იყოს გარკვეულ ვადით. მაგრამ საბჭოებმა წინასწარ უნდა დაუბრუნონ კერძო საკუთრება მის წინანდელ პატრონებს. რუსეთის სამხედრო ვალების საკითხი განხილულ იქნება ეკონომიურ თანამშრომლობის ცდის ვადის გასვლის შემდეგ.

ვარშავა. „რეჩ ისპოლიტას" მოყავს „ტანი"-დან შემდეგი: ინგლისის მთავრობამ ნახევრად ოფიციალურად აცნობა საფრანგეთს „რუსეთის საკითხში ბრიტანიის პოლიტიკის ზოგიერთ ცვლილების შესახებ". ინგლისმა გადაწყვიტა უარი თქვას საბჭოთა მთავრობის დაუყონებლივ აღიარებაზე და განზრახვა აქვს დაამყაროს ერთგვარი გამოცდის პერიოდი, რომ ამით მისცეს რუსეთს შესაძლებლობა გამოამჟღავნოს თავის დამოკიდებულება იმ სურვილებისადმი, რომლებიც გამოითქვა მის შესახებ უმაღლეს საბჭოს მიერ კანში. ამ გეგმის მიხედვით საბჭოთა მთავრობამ უნდა მიიღოს სავალდებულოდ გენუაში, აღიაროს ექვსი თვის განმავლობაში უცხოელ მოქალაქეთა კერძო საკუთრების უფლება, და აგრეთვე გარანტიები, რომლითაც უზრუნველ ყოფილ იქნებიან უცხოელთა წარმოებანი რუსეთში. 6 თვის შემდეგ, გენუას კონფერენციის დამთავრებისა, შესაძლებელი იქნებოდა მოწვეულ ყოფილიყო ახალი საერთაშორისო თათბირი გამოცდის პერიოდის შედეგების გამოსაკვლევად. და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიხწეული შედეგები იქნებოდენ აღიარებული კეთილ საიმედოდ, მაშინ მოკავშირე სახელმწიფოები, რუსეთის მიერ ომის წინა ვალების აღიარების შემდეგ, იცნობდენ საბჭოთა რუსეთს.

ნაუენი. „იწონებს ლოიდ-ჯორჯის წინადადებას იმის შესახებ, რომ რუსეთს გაუკეთონ 6 თვის გამოცდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთს შეუძლია დაამტკიცოს თავის განზრახვების სერიოზულ და ხელ ახლად დაუშვას რუსეთში კერძო წარმოების არსებობა, მოსკოვის მიერ რუსეთის ძველ ვალების წინასწარ პრინციპიალურად აღიარების პირობით, რუსეთი ნებას მისცემს იარსებონ რუსეთში უცხოელთა საფინანსო დაწესებულებებმა და საზღვარ გარეთიდან შემოიტანონ საქონელი კერძო წარმოებებმა რუსეთში თავიანთ საქონლის საკუთარ საწყობების დაარსებით.

„იზვესტია" ექვსი თვის გამოცდის შესახებ.

მოსკოვი. 1 მარტი. „იზვესტია" სპეციალურ წერილს უძღვნის ლოიდ-ჯორჯის წინადადებას რუსეთის 6 თვით გამოცდის შესახებ.

„თუ დავუჯერებთ ფრანგულ გაზეთებს, სწერს „იზვესტია", ჩვენ კი ვარჩევთ ჯერ მას მაინც და მაინც ნუ დავერწმუნებით, — ბრიტანიის პრემიერი წინადადებას იძლევა დამყარებულ იქნას საბჭოთა რუსეთისათვის 6 თვიანი გამოცდის პერიოდი. საფრანგეთის მოვახშეებმა, გაიგონეს რა ეს წინადადება, საჩქაროთ გადაწყვიტეს იგი. ამრიგად, „ტანი" მოითხოვს წინასწარ ძველი ვალების აღიარებას და რუსეთში უცხოელთა საფინანსო დაწესებულებათა არსებობის დაშვებას, უცხოეთიდან კერძო პირთაგან საქონლის თავისუფლად შემოტანას და მათ მიერ რუსეთში საკუთარ საქონლის საწყობების დაარსებას. ჟურნალ „დედება" თავის მხრივ განმარტავს, რომ რუსეთისაგან საჭიროა ნება მისცეს რუსეთში უცხო კაპიტალისტების თავისუფალ არსებობის და ქონდეთ მათ უფლება მოახდინონ რუსეთის ფაბრიკებში და მაღაროებში მუშაობის რეორგანიზაცია თავის საკუთარ ე. ი. კაპიტალისტურ მეთოდების მიხედვით. სხვანაირად რომ ვსთქვათ, საფრანგეთის ბურჟუაზია მოითხოვს საბჭოთა რუსეთის საბანკო, სავაჭრო და სამრეწველო კანონმდებლობის სრულიად მოსპობას.

თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ გამოცდით გეგმებს და ანტანტის ახალ პრეტენზიებს. საფრანგეთის დიპლომატიას შეუძლია იდღესასწაულოს გამარჯვება. მან შესძლო გენუის კონფერენციის გადადება. და თუ შემდეგში ისინი ისევე მოიქცევიან, როგორც აქამდე, იგი შესძლებს ნამდვილად მის სრულიად ჩაშლას. თუ დავერწმუნებით „ტანს", ინგლისის დიპლომატიამ უკვე დაუთმო პარიზსას. საბჭოთა რუსეთი სდგას იმ დებულებათა ნიადაგზე, რომელიც დამყარებულია კანის რეზოლიუციებით იმ აზრით, რომ განიხილოს იგი როგორც ბაზა მოლაპარაკების გასახსნელად.

არავითარ მისწრაფებაზე, რომელიც მიმართული იქნება მის სუვერენიტეტის შეზღუდვისაკენ, როგორც საერთაშორისო საკითხებში, მით უმეტეს რუსეთის შინაურ პოლიტიკის საკითხში არას დროს არ დასთანხმდება. ახალი პროექტი, რომელსაც აწერენ ლოიდ ჯორჯს, წარმოადგენს მის შინაურ საქმეებში პირდაპირ ჩარევის ცდას და ძალიან გამომჟღავნებულ ფორმითაც კი არა...

საბჭოთა რუსეთმა გარკვევით განაცხადა, რომ იგი მზად არის დაუშვას უცხო კაპიტალი რუსეთის ეკონომიურად აღდგენის საქმე"ი, ამისათვის საკმაო ფართო სამოქმედო ასპარეზის მიცემით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ უარი სთქვას თავის ძირითად პოლიტიკურ პრინციპებზე. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებათა განახლების შესახებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა კაპიტულიაცია, არამედ შეთანხმება. სრულიად ცხადია, ის პროექტები, რომლებიც იწერება საფრანგეთის პრესაში ლოიდ ჯორჯის სახელით, საბჭოთა რუსეთისათვის სრულიად მიუღებელი არიან და უნდა განხილულ იქნან, როგორც ცდა კანის კონფერენციის დადგენილების უკანვე წაღებისა, როგორც ცდა იმისა, რომ საერთაშორისო კონფერენცია ან შექმნან სრულიად [illegible] ან და უსარგებლო.

„პრავდა" 6 თვის გამოცდის შესახებ.

მოსკოვი. „პრავდა" ეხება რა რუსეთის ექვსი თვის გამოცდის პროექტს წერს: საბჭოთა რესპუბლიკამ უამისოდაც ბევრი დათმო, როდესაც დათანხმდა ეცნო ომის წინა ვალები, მანამდის, სანამ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები დათანხმდებოდნენ ეცნოთ თავის ვალდებულება აენაზღაურებიათ რუსეთისათვის ის ზარალი, რომელიც მიაყენა მას ინტერვენციამ. ჩვენ მიერ ამ ვალების აღიარება ნიშნავს საბჭოთა მთავრობის შეთანხმების და დათმობის სერიოზულ სურვილს. თუ ამ დათმობის საპასუხოდ, საბჭოთა რუსეთი არ იქნება დაუყონებლივ აღიარებული, არამედ პირიქით, მის მიმართ იწარმოებს ისევ სრულიად დამამცირებელი, სრულიად დაუშვებელი დამოკიდებულება, თვიური გამოცდის სახით, მაშინ პასუხი ამაზე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი საბჭოთა: მთავრობამ უნდა აღიაროს მოსპობილად კანის კონფერენციის დადგენილებანი ყოველივე მისგან გამომდინარე შედეგებით. და ეს კი ნიშნავს იმას, რომ საკითხი ევროპის აღდგენის შესახებ, საკითხი რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ნორმალური სავაჭრო და პოლიტიკური დამოკიდებულებათა დამყარების უკუგდებულ იქნას და შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, როგორიც იყო კანის კონფერენციამდე. ამრიგად მთელი სამზადისი მუშაობა შეთანხმებისათვის უნდა დაიწყოს თავიდან. ამ გადადებით ყველაზე ცოტას მოიგებს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ინგლისის კაპიტალიზმი. ახლო მომავალმა უნდა დაგვანახოს, რომ ესეთი პოლიტიკა არის ძლიერ საზარალო და სახიფათო იმ ქვეყნისათვის, რომელსაც ყავს 2 მილიონი უმუშევარი. მდგომარეობათა ძალამ უნდა აიძულოს ინგლისის მმართველი წრეები დაუბრუნდნენ კანის გადაწყვეტილებათა გამოსავალ პუნქტს, მაგრამ დაუბრუნდებიან მას დიდის დაგვიანებით და დროსა და მთელ რიგ ასეთ შესაძლებლობის დაკარგვის შემდეგ, რომლებიც შესაძლებელია აღარ განმეორდნენ.

„რაინდი მოკავშირე".

მოსკოვი, 8 მარტი, (რადიო). საფრანგეთის დემოკრატიული, სოციალისტური და რესპუბლიკანური პარტიების კრებაზე, ნიულანსის თავმჯდომარეობით დაადგინეს (დამახინჯებულია)... ბოლშევიკების ნამდვილი განზრახვა გვაიძულებს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოვიჩინოთ გენუას კონფერენციაზე. ბოლშევიკური რეჟიმის ევოლიუცია, თუ კი ასეთს ადგილი აქვს, დაჩქარდება იმდენად არა წინასწარ სარგებლის წყალობით, რომელსაც ევროპა მოუტანს საბჭოთა მთავრობას, რამდენადაც ვალების აღიარების მოთხოვნილებით, პიროვნების თავისუფლების, კერძო საკუთრების და პოლიტიკურ-უფლებრივი გარანტიების აღდგენით. საფრანგეთს არ ავიწყდება, რომ რუსეთი იყო მისი რაინდული მოკავშირე და ამიტომაც პროტესტს აცხადებს დიდი რუსეთის ხალხისთვის კაპიტულიაციის რეჟიმის მოხვევის წინააღმდეგ.

ბულონის თათბირის შესახებ.

მოსკოვი, 8 მარტი (რადიო). ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებულია მემორანდუმი, რომელიც საფუძვლად უდევს ბულონის თათბირზე ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს მოლაპარაკებას. მოლაპარაკების მთავარი მუხლები შემდეგია: 1) საზავო ხელშეკრულების და ვალების გადახდის საკითხებზე გენუაში არ იმსჯელებენ. 2) საბჭოთა რუსეთის მონაწილეობა გენუას კონფერენციაში არ ნიშნავს რუსეთის პოლიტიკურად ცნობას. 3) კონფერენციის გახსნისას არჩეულ იქნება ეკონომიური კომისია რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების პირობების გამოსარკვევად, რომლის მიხედვით შეეძლებათ ცალკ-ცალკე სახელმწიფოებს რუსეთთან ხელშეკრულების დადება. 4, საკითხი რუსეთის ცნობის შესახებ უნდა გადაიდევს კონფერენციის ბოლომდი, მიხედვით იმისა, თუ როგორი დარჩება ამ კონფერენციის შედეგები. 5) მცირე ანტანტა და პოლონეთი ღებულობენ ნახევრად ოფიციალურ მონაწილეობას ლონდონში ექსპერტების კომისიის მუშაობაში. 6) ნაციათა ლიგა და შრომის საერთაშორისო ბიურო დაესწრებიან კონფერენციას, სადაც დამოუკიდებლად გამოსვლის უფლება არ ექნებათ.

საბოტაჟი.

ბერლინი, 7 მარტი (რადიო). გერმანიის პრესა მწუხარებას გამოსთქვამს იმ თავისუფალ და ამ ჟამად არა თავისუფალ გენუას კონფერენციის მიმართ წარმოებულ საბოტაჟის შესახებ, რომელიც ეწევა ზოგიერთ სახელმწიფოებს. ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი როზენი „ბერლინერ ტაგებლატ"-ში მოთავსებულ საგანგებო წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, თუ გერმანიის მთავრობა არ მიიღებს საჭირო გარანტიებს, ადვილად შესაძლებელია, რომ უცხო სახელმწიფონი ანდა ამ სახელმწიფოთა ჯგუფები დაიმორჩილებენ გერმანიას უბრალო ხმის უმეტესობით გენუას კონფერენციაზე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიხედვით.

გარეშე საქმეთა მინისტრების ყრილობა.

რომი, 7 მარტი (რადიო). „მონდო" იუწყება, რომ შანცერმა წინადადება მისცა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებს გადასდონ გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი პარიზში მარტის ბოლომდი.

ლონდონი, 7 მარტი (რადიო) ლონდონის ოფიციალურ წრეებში ირწმუნებიან, რომ ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან ლონდონში 13 მარტს გენუას კონფერენციის პროგრამის საბოლოოდ გამოსამუშავებლად.

გერმანია და გენუა.

ბერლინი, 1 მარტი. „ლოკალ-ანცაიგერი" იუწყება, რომ საგარეო საქმეთა რეიხსტაგის კომისიამ დაწვრილებით განიხილა საკითხი გენუას კონფერენციის შესახებ. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ გერმანია კარგს არაფერს არ უნდა მოელოდეს ამ კონფერენციისგანო. რატენაუს სიტყვა, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, სულაც არ იყო ოპტიმისტური. „ლოკალ-ანცაიგერი" აღნიშნავს, რომ გერმანიას ემუქრის საფრთხე ინგლისისაგან სრულ ეკონომიურ დამოკიდებულებაში მოჰყვეს. გაზეთს შესაძლებლად მიაჩნია, რომ გერმანიას აიძულებენ რუსეთში იმუშაოს ანტანტას სასარგებლოდ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალების დამშვიდების პირობები.

ბორდო, 4 მარტი, (რადიო). ფრანკლინ ბუილიონი „მატენ"-ში მოთავსებულ თავის წერილში ოსმალეთის დამშვიდების პირობების საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ ანგორა კატეგორიულად უარს ამბობს ყოველგვარ წინადადებაზე, რომელიც ეხება სმირნაზე მუდმივ საერთაშორისო

ნტროლის დამყარებას. ანგორის ავრობისადმი ჩსკავს წინადადების ცემა ნიშნავს მის წაქეზებას სამ- დრო მოქმედების დასაწყებად აპ- ლში. ახლო აღმოსავლეთში ზავის დგენისა და ოსმალეთის დამშვიდე- ათვის საჭიროა ოსმალეთის სუვე- ენიტეტის აღდგენა, კონსტანტინო- ლის საერთაშორისო ჯარებისაგან ნთავისუფლება, სრუტეების ზონის ემილიტარიზაცია საერთაშორისო მისიის კონტროლ ქვეშ, რომელ- აც უნდა შევიდნენ სრუტის მახ- ობლად მდებარე ყველა სახელმწი- ების წარმომადგენლები. რაც შე- ება ფრაკიას, ბულიონი წინადადე- ს იძლევა გადაწყდეს მისი საკითხი ლებისციტის გზით.

საბერძნეთის ლაშქრის მდგომარეობა.

კონსტანტინოპოლი, 4 მარტი, (რა- ოო). გაზეთ „იკდამის“ ცნობით, ანა- ოლიაში მყოფი ბერძნების ჯარი ის ამბობს ომის გაგრძელებაზე. ნევა მასიური დეზერტირობა, რო- ლსაც ვეღ აჩერებს მკაცრი სასჯე- ის ზომებიც.

იაპონიის ლაშქრის შემცირება.

პარიზი, 4 მარტი, (რადიო). იაპონიის პარლამენტმა გამოიტანა ორი კანონ-პროექტი: ლაშქრის შემცირების შესახებ და არჩევნების საყოველთაო უფლების შესახებ.

კოალიცია.

რომი, 4 მარტი, (რადიო). იტალიის ახალი მთავრობის თავმჯდომარემ ფაქტამ განაცხადა, რომ გენუას კონფერენციაზე გასაგზავნ იტალიის დელეგაციაში შევლენ ყველა პარტიათა წარმომადგენლები.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მადლობა.

მოსკოვი, 5 მარტი, (რადიო). გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის საგარეო საქმეთა კომისრისაგან მიიღო მადლობის დეპეშა ოსმალეთის ხალხის სახელით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოქომაგების გამო ოსმალეთის გენუას კონფერენციაზე მიწვევის მოთხოვნის შესახებ.

ქრონიკა

◆ **გადამდებ ხნეულებათა მოძ- აობა.** ჯანმრთელობის კომისარია- ის სანიტარულ საეპიდემიო განყო- ილების ცნობებით 15 თებერვლი- ან პირველ მარტამდე რესპუბლიკა- ი აღნუსხულია სულ 985 გადამდებ ადმყოფობის შემთხვევა, მათგან რტახტიან სახადის—553, მუცლის ახადის—187, შებრუნებითი სახადი 28, და გამოურკვეველი—59, ყვავი- ი—58, თბილისში გადამდებ ავად- ოფობათა მსვლელობის შესახებ ჩვენ ზეთში უკვე იყო ცნობა მოთავსე- ული, პროვინციაში კი ავად გახდენ: ბილისის მაზრაში—პარტახტიანი ახადით—31, მუცლის სახადით—3, ებრუნებითი—5, და ყვავილით—1; უთაისის მაზრაში პარტახტიან სახა- ით—17, მუცლის—4, შებრუნებითი და 4 ყვავილით; გორში პარტახ- იან სახადით—46, მუცლის სახადით , შებრუნებითი—1, გამოურკვეველი და ყვავილით 11; ზუგდიდში—პარ- ახტიან სახ. 26, მუცლის სახ. 17 ა შებრუნებითი 1. ახალ-სენაკში— რტახტიანი სახ. 4, შებრუნებითი 2 და ყვავილით 17. თელავში —პარ- ახტიან სახ. 3 და მუცლის სახ. 1. ნში—(პირველ თებერვლიდან) პარ- ახტიან სახ. 26, მუცლის სახ. 48, ებრუნებითი 47 და ყვავილით 12; უშეთში—9; სიღნაღში (პირველ თე- ერვლიდან 15-მდე.) პარტახტიან სა- ადით 116 მუცლის სახ. 20, შებ- უნებითი 29 და გამოურკვეველით ; ოზურგეთში—პარტახტიან სახ. 8; ახრეთ ოსეთში პარტახტიან სახა- ით 25. სულ პროვინციაში ჩაწერი- ია 607 ავადმყოფობის შემთხვევა, ათგან: პარტახტიანი სახადით 340, უცლის სახადი 98, შებრუნებითი 105, გამოურკვეველი—19, ყვავილი—45.

◆ **საკრედიტო ამხანაგობანი.** ფინანსთა კომისარიატი სახალხო ბანკის სამართველოსთან ერთად იმუშავებს დებულებას საკრედიტო საზოგადოების შესახებ, რომელთა მოქმედება განზრახულია არამც თუ აღადგინონ მარტო, არამედ გააფართოვონ კიდეც.

◆ **შემნახველი კასები.** ფინანსთა კომისარიატი სახალხო ბანკთან ერთად ახდენს სახელმწიფო შემნახველ კასების დებულებათა გადამუშავებას.

◆ **ადმინისტრატიული წესით დასჯილნი.** გასულ თებერვალში ქალაქის მილიციამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის 145 პირს გადაახდევინა ჯარიმის სახით 88,980,000 მან. ამავე ხნის განმავლობაში სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დააპატიმრა 14 პირი 2 თვიდან 3 თვემდი.

◆ **მილიციის ურთიერთ დამხმარე კასა.** თბილისის მილიციის ყველა მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა მოაწყოს ქალაქისა და სისხლის სამართლის ძიებელ მილიციების ურთიერთ დამხმარე კასა. კასის წესდების პროექტის გამოსამუშავებლად აირჩიეს კომისია.

◆ **სახელმწიფო-უნივერ. კომუჯრედის არა ჩვეულებრივი სხდომა,** დანიშნულია დღეს, 11 მარტს, საღამოს 5 საათზე სტუდ. წარმომ. საბჭოს ოთახში. ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

ბიურო.

პარტიული ცხოვრება

1899, 1900 და 1901 წლებში დაბადებულთა მობილიზაცია

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს 1899, 1900 და 1901 წლებში დაბადებულ ქვეით ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებსაც ეხებათ მობილიზაცია, პარტიული დისციპლინის წესით გამოცხადდენ საქ.მო შემოწმებაზე ქალაქ თბილისის და მისი მაზრების სამხედრო კომისართან მიხეილის პროსპ. (№ 172). ყველა ის ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან პასუხისგებაში იქნებიან მიცემული პარტიიდან გამოსარიცხავად.

1-ლი რაიონი.

გიორგი ხუბიეროვი, პავლე ტოლსტენკო, ვართან გრიქუროვი, ვასილ გძელიშვილი, მიხეილ ხეთაგაშვილი, ნიკოლოზ დიმბოვსკი, ვლადიმერ თედეევი, ბორის ბელოროუსოვი, ანდრია კაპოვი, ათანასე ჩერნოვანოვი, ვლადიმერ შჩიგელი, ალბერტ ბულბახი ვასილ გელაშვილი.

მე 2 რაიონი.

არშაის აგოიანი, გიორგი როტინოვი, კეგამ ტერ-კაზაროვი, სურენ ფრიდონოვი, გოლუაშვილი, ნიკიტა ქალანთია, ვლადიმერ პრაკოპ, კონსტანტინე ხოჟაკოვი.

მე-3 რაიონი.

ალექსანდრე არუთინოვი, კარაპეტ მდიგიანი, მკრტიჩ მკრტიჩიანი, კარაპეტ ტერ-გუკასოვი, მარიან კერკაძე, ვაგან მანველოვი, ისაკაძე, მარკ ფილიხარი, სარქის ტრდამიანი, ალეკპერ სეიფი, მამედ დეფარლი, ისმაილ ტერ-ეგულოვი, კობაძე, ასკერ ისმაილოვი.

მე 4 რაიონი.

ვლადიმერ დუმბაძე, სოლომონ როზენფელდი, მიხეილ ჩხაიძე, არტაშეს ჩიტაკიანი, ალექსი ფარადაშვილი, ალექსანდრე დორემიდონოვი, ვალერიან კვირიკაძე, გრიგოლ ასრიევი, სტეფანე მიკაელიანც, სტეფანე სტეფანოვი, მიხეილ ლაკერბაი, გაიპ ღევდარიანი, ანდრია შიშოვი, მოსე გუსენოვი, ნიკოლოზ კამკამიძე, ვასილ მოსიძე, მიხეილ ბეჟაშვილი, ალექსანდრე კობალია, არმენაკ ასლანოვი, გრიგოლ ვარნაზოვი, ანტონ სტრახოვი, კარლ მორეტი, მარტინ სკანაკაროვი, მიხეილ მარტვოვსკი, ნიკოლოზ ბასისტოვი, ალექსი კორტიხინი, გიორგი კოზმოი, კონსტანტინე უშაროვი, მოსე კოილუკი, ნიკოლოზ კოვინევი, სტეფანე ტერ-აკოპოვი, ბორის მირიმანოვი, ვასილ ფირცხალავა, გიორგი მაისურაძე, არჩილ კვირკაძე, გიორგი გვახარია, მოსე გვენტაძე, გიორგი გურგენ-შვილი, ილია პოლუპოვი, მიხეილ მენაღარიშვილი, ვიქტორ სმოლიაკოვი, ნიკოლოზ ფურცელაძე, გრიგოლ ინწკირველი, ალექსადრე მოროზოვი, ვლადიმერ აბაევი, ანდრია სკაკოვსკი, ალექსანდრე სიმონიშვილი, შალვა ოდილავაძე, სერგო ბახტაძე, ევგენი ბაკურაძე, ა. ნოდია, სარქის კაკალაშვილი, ალექსი როპიაკი, რომან ცურცუმიანი, ევგენი აჯოშვილი, ალექსანდრე მატვეევი, შალვა ოკუჯავა, სერგო სტურუა, ანდრია ბუაჩიძე, შალვა პაპავა, არჩილ შენგელია და გიორგი ბეგელაძე.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ლოლობერიძე.**

ყველა რაიკომებს

თბილისის კომიტეტის მიერ არმიაში სამუშაოდ მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგებს წინადადება ეძლევა სამი დღის ვადაში გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში სათანადო მანდატების მისაღებად.

ამ ცირკულიარის აუსრულებლობის პასუხისმგებლობა ეკისრება რაიკომების და კომუჯრედების მდივნებს.

1 ლი რაიონი.

ზაქრო სარდჟლიშვილი, სარქის მოსიაშვილი, ილია ბაბლიძე, ვალერიან ბარკალაია, აკაკი ფირცხალაძე, დავით გულენიძე, იოსებ გელაშვილი, პორფილე გადაბაძე, ანდრია ძიძავა, გიორგი კრივერიშვილი, ვარლამ ქუასელი, კონსტანტინე კასრაძე, გიორგი კოხრეიძე, სერგო ბოლქვაძე, ზურაბ ნამორაძე, ერემია კაჩელაშვილი,

მე 2 რაიონი

რუბენ ყარიბოვი, ვლადიმერ კობერიძე, ივანე ქალანთაროვი, ბარნაბა დაშნიანი, ბესარიონ გამყრელიძე, ოგანეზ ალელოვი, გაბა გოდერზიშვილი, გაბა კორონაშვილი, არტაშეს მიკაელიანი, მიკირტიჩ გუკასოვი, ოგანეზოვი, გეურქ ტერ-ისრაელიანი, იზრაილ ფიტერმანი, ვასილი მახარაშვილი, ზეგო აგიანცი, არშაკ იოროამოვი, ვასილი გოხაძე, ანტონ კეკნაძე, რაფაელ მამულოვი, ილია ამფიმიადი, ალ. შახნაზაროვი, კონსტანტინე ბაიანდუროვი, პავლე კეკიშვილი, კახპრიანი, გაბაშვილი, ალ. შახნაზაროვი, ნიკოლოზ პარასტაევი, ისააკ მალხაზოვი, სტეფანე კუჯავა, რუბენ ასლანიან, არსენ ბერუაშვილი, ილია ლარიბაშვილი, გიორგი არხიმანდრიტოვი, ენფიანჯიანცი, არშაკ ტალიშიანი, მილოვი, კალისტრატე ჩემია, სტეფანე წამულოვი, ნიკოლოზ ჩოჩიევი.

მე-3 რაიონი

გაიკ პოპოვი, არამ გაბრიელიანცი, ერვანდ პეტროსიანი, აკოპ შამიროვი, ფეოდორე კალაიჩიდი, მიხეილ შაინოვი, ივანე მელიქოვი, ვასილი საპცევი, გევორქ ოკანეზოვი, ალექსი კრიკოვი, გრიაზნოვი, გრაჩევი, ნიკიშინი, არტემ ოკანეზოვი, ბარამიძე, ისააკ მიერადოვი, სერგო ბოგდასაროვი, გრიგოლ გულულოვი, გრიგოლ ზურაბოვი, ოგანეზ ზარაკოვი, ხაჩატურ ოგანეზოვი, გიორგი ტოტიევი, სანამია, პატუროვი, ალი კურბანოვი, ამაიაკ ვანაიანი, გასან ალახვერდოვი, ალექსი მადიაშვილი, არსენ აირაპეტოვი, აბრამ არუთუნოვი, ბაგირ ხასიბოვი, აბას აკპერ ზადე, გევორქი მნაცაკანოვი, დარჩო ბაბუროვი, გერასიმე არაკელოვი, გოგინაშვილი, არიკაძე, ისრაილ მახმუდოვი, აშიმზადე გასან, ნიკოლოზ ტერ-აკოპოვი, იოსებ კანანოვი, გაბრიელ არიუტიუნოვი, ასატურ აზატოვი, არშაკ გრიგორიანი, იგიტოვი, არმენაკ ზალიანი.

მე-4 რაიონი

ვლადიმერ გიგაური, ილარიონ ძიძიგური, ბაგრატ მატიევი, ვალენტინე ჩიქაია, ალექსანდრე კუმსიშვილი, გიორგი ტაბიძე, მირან უნგიაძე, ჯანელიძე, ხარებავა, ალექსანდრე დევდარიანი, მიხეილ კიკნაძე, მენაბდიშვილი, მიხეილ იობიძე, გრიგოლ ელაშვილი, აკაკი ქვთარაძე, სერგო გავალოვი, აკაკი ლეკვიშვილი, პავლე მინდიაშვილი, კალისტრატე ჯაფარიძე, კორნელი ბახაძე, მიხეილ საბაშვილი, გრიგოლ მგალობლიშვილი, პარმენ ცომაია, ვლადიმერ ჯაიანი, ვართან მარკარიანი, სერგო შარიშვილი, იაკიმე ხომერიკი, ვასილი კვერიკაძე, კონსტანტინე უშაროვი, ილარიონ გოგეშელიძე, ესტატე კობერიძე, პართენ სირაძე, დეილავარდოვი, ალექსანდრე ზუნგულიძე, არჯევანიძე, გრიგოლ მნაცაკანოვი, ვლადიმერ დანელია, ვ იაკობაშვილი, კარლ ასიტოვი, ფილიპე მანაგაძე, მიხეილ ეიუქიძე, მალხაზოვი, ალექსანდრე ეჯოშვილი, ილ. პოპონოვი, მალახაშვილი, ომაძე, წულაია, არ. ძეკრელიშვილი, ივანე მაგალიანი, ერვანდ სააკიანი, ხაჩატურ გრიგორიანცი, ისააკ კალაშიანცი, ვიქტორ [illegible]რონიაშვილი, [illegible] ვლადიმერ დანელია, პეტროს კოგაროვი, ხორენ ხაჩატურიანი, დავით ვართანოვი, აბრამ ვართანოვი, ალექსანდრე ზახაროვი, ბარ. ახვერდიანი, ამაზასპ მელკუნიანცი, არტემ ტოროზიანი, გაბრიელ არაბადჟალიანი, ბაან ტერმელქისედოვი, ვაგარშაკ ალეკიანცი, გიორგი იუზბაშოვი, ნიკოლოზ მამულოვი, რუბენ თუმანოვი, არშაკ ტერ-არიუტიუნოვი, ალექსანდრე ჯაფარიძე, სერგო ჯაფარიძე, სერგო ეგიკოვი, იაკობაშვილი, კონსტანტინე მირიმანოვი, კუჩუაშვილი, ილია კიკნაძე, ილია ოგანეზოვი, სერგო ჯავახოვი, ანდრია კურპელი, ხაჩატურ გრიგორიანი, იოსებ გაბაშვილი, მიხეილ გერმანოვსკი, არტაშ ზურაბოვი, ნიკოლოზ ვენიამსკი, სახელაშვილი, ლაშხი ლომჯარიძე, ქრისტეფორე ბარუნციანი, პეტრე კობიძე, არტემ ლიცინოვი, სტეფანე სტეფანოვი, გაბრიელ ხუნიევი, ნიკოლოზ კამალაშვილი, ლავრენტი მორჩილაძე, ხაჩატურ გრიგორიანი, ხაჩატურ პაპოიანი, არ. მელკონიანი ალექსანდრე კულაევი, პავლე კირსოვი, გარ. ტარახანოვი, არტაშეს გიჩარიანი, ეფიმ ლიფშიცი, ალიქსანდ. ზარემბო, რუბენ ტერ-პოგოსოვი, ვართან პეტროსიანი, ნერსეს ნერსესიანი, ამენაკ ჩხიტროიანი.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **ლოლობერიძე.**

საორგან. განყ. გამგე **რუზენი.**

საყურადღებოთ

ყველა პარტიულ ორგანიზაციებისა, საბჭოთა, საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა ცხადდება, რომ პოლიგრაფიული განყოფილება სწყვეტს შესრულებულ შეკვეთების გაცემას ხარჯების სრულ გასწორებამდის.

ყველა მიღებული შეკვეთები, აგრეთვე ახლად წისაღები, არ იქნებიან შესრულებულნი შეკვეთების ნახევარ ღირებულების შემოტანამდის.

ყველა ზემო აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებებს წინადადება ეძლევათ, 15 დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადებისა, შემოიტანონ პოლიგრაფიულ განყოფილებაში მათგან კუთვნილი თანხები.

პოლიგრაფიულ განყოფილების კოლეგია.

(5—2)

განცხადება

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის

მიერ დაწესებული კომისია საბიუჯეტო კომისიის, გადასახადების ბიუროსა და მისი სარაიონო აგენტების მოქმედებათა გამოსაძიებლად აუწყებს ყველა დაინტერესებულ კერძო პირს, მოვაჭრეებს, დაწესებულებებს, საწარმოვო დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობები, საჩივრები და პრეტენზიები აღნიშნულ დაწესებულებათა უკანონო მოქმედებების და ბოროტ მოქმედებების შესახებ,—რათა მათ ამგვარები პირადად, წერილობითი სახით, შემოიტანონ ზემორე დასახელებულ კომისიაში, რომელიც მოთავსებულია მე-16 №-რ ოთახში ქ. ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში (ყოფილი ქალაქის საბჭო).

(4—3)

დებულება

მიწათმოქმედებაზე საქართველოს სოციალისტურ საბჭოს რესპუბლიკაში

იწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისგან

ქვევით ვაქვეყნებთ პროექტს იმ ებულებისას რომელიც უნდა დაედ- ს საფუძვლად მიწად მოწყობას ენში და რომლის თანახმად უნდა ქნას შესრულებული მიწად მოწყო- ს საქმე.

კომისარიატი, აქვეყნებს რა ამ როექტს, მიმართავს ყველას, რო- ოგორც გლეხებს, ისე საქმის მცოდნე გამოცდილ პირებს, აგრონომებსა, ოფლის მეურნეთ, ვინც რაიმე შენი- შნების დამატების ან ცვლილების ტანას საჭიროთ დაინახავს, შემო- ტანონ ასეთი ან თვით კომისარია- ში (მიწად მოწყობის განყოფილება-) ან გაზ. „კომუნისტი“ და „პრავ- გრუზიის“-ში დაბეჭდონ ამ მარტის ავლამდე. ამ ვადის გასვლის შემ- დეგ წარმოდგენილი შენიშვნები ყუ- ადღებაში მიღებული აღარ იქ- ნიან.

დებულება

იწათმოწყობაზე საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკაში

I

საერთო დებულებანი

1. მიწათ-მოწყობის მიზანია საერ- ოდ მოაწესრიგოს მიწით სარგებ- ლობა ისეთ საფუძველზე, რომ სოფ- ლის მუშას გაუადვილოს მისი შრო- ის საუკეთესო შედეგის მიღწევა.

2. ამ მიზნით მიწათ-მოწყობის სა- მოქმედო საგანს შეადგენს: ა) კომუ- ალურათ, საამხანაგოთ, არტელით ნ საზოგადოებით მიწის დამუშავე- ის იდეის გავრცელება და კოლექ- ტიურ მეურნეობათა ორგანიზაცია, მიწის მუშისათვის საკმაო მიწის მიჩენა რამდენათაც შეიძლება ერთ ფარგალში, გ) მჭიდროდ დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალ შენების მოწყობა, დ) საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მოწყობა და ე) მიწის დაქუცმაცების, მიწის ნაკვეთების უხერხული ფორმის და მათი მუშისაგან სიშორის თავიდან აცილება.

3. მიწათ-მოწყობის გამტარებელი რესპუბლიკაში არის მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი, რომლის აღმასრულებელი ორგანოები არიან სამაზრო მიწად მოქმედების განყოფილებანი და სოფლის მიწის კომიტეტები.

4. მიწათ-მოწყობის ტეხნიკურ აპარატს შეადგენენ: მიწათ-მოწყობნი, მიწის მზომელთა გუნდის უფროსნი და მიწის მზომელნი.

5. მიწათ-მოწყობის მუშაობის პლანს გეგმას რესპუბლიკის მასშტაბში ამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო

II.

მიწათ მოწყობის აპარატის მოქმედების საგანი

6. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს და წარუდგენს სახალხო კომისართა საბჭოს მიწათ-მოწყობის გეგმას დასამტკიცებლად რესპუბლიკის მასშტაბში.

7. სამაზრო მიწათ მოქმედების განყოფილებას ევალება.

ა) მიწათ მოწყობის გეგმის შედგენა მაზრის ფარგლებში მიწათ მომწყობთან ერთად;

ბ) მიწათ მოწყობის ტეხნიკური გეგმების განხილვა და დამტკიცება;

გ) მიწათ მოწყობისათვის მიღებული თანხების ხარჯვა დანიშნულებისამებრ.

დ) თვალყურის გდება მიწათ მოწყობის საქმეზე და მის შემსრულებლებზე;

ე) ყოველივე შემჩნეული დეფექტების დაუყონებლივ ცნობება კომისარიატისთვის.

8. სამაზრო მიწად მოქმედების განყოფილებასა და მიწათ მომწყობს შორის მომხდარ უთანხმოებას სწყვეტს მიწად მოქმედების კომისარიატი.

9. მიწათ მომწყობს ევალება:

ა) მიწათ მოწყობის გეგმის შედგენა მაზრის ან მაზრის ნაწილის ფარგლებში ცალკე სოფლებით სათანადო მოხაზულების ან აბრისის თანდართვით;

ბ) ამ გეგმის გატარება სამაზრო მიწად მოქმედების განყოფილების კოლეგიაში;

გ) ყოველ მხრივი ხელმძღვანელობის გაწევა მიწის კომიტეტებისა და მიწის მზომელებისათვის;

დ) ხარჯ-აღრიცხვის შედგენა მიწათ მოწყობის წარმოებისთვის;

ე) ახალ-შენებისათვის საჭირო სადგილ მამულო ფონდზე ცნობების შეგროვება, გადასახლების მსურველთა აღნუსხვა და ამაზე ცნობება კომისარიატში;

ვ) მიწის მზომელთა მიერ წარმოდგენილი თვიური ანგარიშების დათვასება და წარდგენა კომისარიატში არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან ანგარიშების მიღებისა;

ზ) თვიური ნამუშევარის შესახებ მოხსენების გაგზავნა კომისარიატში და სამაზრო განყოფილებაში.

10. გუნდის უფროსი ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც მიწის მზომელი და საჭირო ტეხნიკურ ხელმძღვანელობას უწევს მის გუნდში მყოფ მიწისმზომელებს, როცა ისინი მას მიმართავენ.

11. მიწის მზომელებს ევალებათ:

ა) ყოველგვარი ტეხნიკური სამუშაოს შესრულება მათი სპეციალობით და საბუთების შედგენა;

ბ) ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა მათ ნამუშევარზე მიწათ-მომწყობისათვის არა უგვიანეს შემდეგი თვის ხუთი რიცხვისა.

12. მიწის კომიტეტს ირჩევს ერთი ან რამოდენიმე სოფელი 3—5 უმიწაწყლო ამ მცირე მიწის მქონე ადგილობრივ მცხოვრებთაგან. კომიტეტში შედიან წევრებათ მიწად მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი—მიწის მზომელი—და თემის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. კომიტეტი თავმჯდომარეს ირჩევს თავის წევრთა შორის.

13. მიწის კომიტეტის მოვალეობას შეადგენს:

ა) მიწების კატეგორიებათ დაყოფა ოქმის შედგენით, რომელიც იგზავნება მიწად-მოქმედების სამაზრო განყოფილების კოლეგიაში დასამტკიცებლათ;

ბ) თუ საჭიროა საანკეტო ფურცლების შემოწმება ოქმის შედგენით;

გ) ნორმაზე მეტი მიწის მქონეთა სიის შედგენა;

დ) უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა სიის შედგენა;

ე) ზედმეტი მიწების ჩამორთმევა;

ვ) კონფისკაციის დამთავრება და ჩამორთმეულ მიწების აღნუსხვის შემდეგ მათი დანაწილება უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის.

III.

მიწის კომიტეტის მოქმედება.

14. მიწის კომიტეტი იწყებს მუშაობას სოფლისადმი შეკითხვით, ვის სურს შესვლა კომუნაში ან ამხანაგობაში, რომ ასეთებს, რამდენათაც შესაძლებელია; ერთად მიეზომოს მიწა.

15. კომიტეტი იწვევს ბარათით მიწის პატრონს, რომლის გამოუცხადებლობა ჩამორთმევას ვერ შეაჩერებს, ადგილის პატრონს უფლება აქვს მიწების არჩევისა, მაგრამ ნაკვეთის დაქუცმაცება არ შეიძლია.

16. როგორც მიწის ჩამორთმევის ისე ჩამორთმეულ მიწების გადაცემის შესახებ, უნდა შედგეს აქტი, რომელშიდაც აღინიშნება: მაზრისა და სოფლის სახელი, თვე და რიცხვი აქტის შედგენისა, კომიტეტის შემადგენლობა, იმ პირის, რომელსაც ერთმევა ან ეძლევა მიწა, სახელი, მამის სახელი და გვარი, მისი ოჯახის შემადგენლობა და ქონებრივი მდგომარეობა, დატოვებული და ჩამორთმეული მიწის ნაკვეთების სახელი, ნომერი გამიჯვნის პლანით, ზომა, საზღვრები მსოფლიოს მხარეების აღნიშვნით და ნაკვეთების მიწების შემადგენლობა (угодия) და კატეგორია. აქტში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა და ამ პირს მიწა ერთმევა ან ეძლევა **„უვადო და შეუწყვეტელ სარგებლობაში სამშვილიშვილოთ“**; აქტს ხელს აწერს მიწის კომიტეტი, ადგილის პატრონი და მომიჯნავენი. ჩამორთმევის აქტი არსებითად საბოლოოა; მისი გასაჩივრება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილებ სა, სამაზრო მიწად მოქმედების განყოფილებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ფორმალური მხარე.

17. ამ აქტისა, რომელიც შედის ძალაში მხოლოდ სამაზრო განყოფილებაში დამტკიცების შემდეგ, მიწათ მომწყობის მიერ ხელ მოწერილი და ბეჭედ დასმული ეძლევა მიწის პატრონს და დედანი ეგზავნება სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებას სარეგისტრაციოთ და დასამტკიცებლათ.

18. მიწის ჩამორთმევის დროს კომიტეტი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ყოველ ცალკე მეურნეობის (კომლის) საარსებო ინტერესებს და შესაძლებლობის ფარგლებში დაიცოს მეურნეობის მთლიანობა, რისთვისაც ისეთ ჩამონაჭერებს ნორმის მიზომვის შემდეგ, რომლებიც მიწათ მოწყობის თვალ საზრისით არ წარმოადგენენ რაიმე ღირებულებას, უბრუნებს პატრონს.

19. როცა მიწის კომიტეტი მეურნეობის მთლიანობის დაცვისათვის დაუტოვებს ვინმეს ნორმაზედ მეტ მიწას, ამის შესახებ ის ადგენს ცალკე ოქმს მოტივების დაწვრილებით აღნუსხვით და ამ ოქმისას დაუყოვნებლივ უგზავნის სამაზრო განყოფილებას.

20. მიწათ-მოწყობის დროს ტყე შეიძლება დაეტოვოს ყოფილ მფლობელს მისივე სურვილით, პირველი კატეგორიის მიწებში ჩათვლით.

21. თუ საჭიროება მოითხოვს, სახელმწიფო ტყეების ნაწილი შეიძლება შეტანილ იქნას მიწათ მოწყობის პროექტში უმიწაწყლოთა და მცირე მიწის მქონეთა დასაკმაყოფილებლათ, რის შესახებაც მიწათ-მომწყობი შეეკითხება ტყის გამგეს, რომელსაც აქვს უფლება გამოაცხადოს თანხმობა კომისარიატის დაუკითხავათ. როცა ტყის გამგე თანახმა არაა, მიწათ მომწყობი აღძრავს შუამდგომლობას კომისარიატის წინაშე ტყის დათმობის შესახებ სათანადო პლანისა და ტყის გამგის აზრის თანდართვით.

22. როცა მიწათ მოწყობის დროის საჭირო იქნება ტყის გამგის მოწვევა,

კომიტეტი იბარებს მას უწყებით. თუ მეორე უწყების შემდეგაც გამგე არ გამოცხადდა, კომიტეტი თითონ სწყვეტს საკითხს.

23. სასოფლო საზალახოებათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნან დატოვებულნი სამოსახლოებათ ან სახნავ-სათესათ სავარგისი მიწები.

24. იმ სოფელში, რომელსაც იმდენათ საკმაო მიწები აქვს, რომ შესაძლებელია ყველა მცხოვრებთა დაკმაყოფილება ნორმამდე, ზედმეტი გადარჩენილი მიწებიდან უნდა გადადებულ იქნას სათადარიგო ფონდი კომლთა გამრავლების საჭიროებისათვის. ეს ფონდი არ უნდა აღემატებოდეს სოფლის სამოსახლო ბალვენახის და საყანე მიწების ათ პროცენტს. თუ სოფელს ამაზედ მეტი კიდევ აღმოაჩნდება მიწა, ეს მიწა უნდა ჩაითვალოს საახალშენო ფონდში და წინასწარი მიწების დანაწილებამდე, გადიჭრას ერთ ნაკვეთათ რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომისარიატის მიწათ-მომწყობ განყოფილებას.

შენიშვნა: სათადარიგო ფონდი იმყოფება თემის განკარგულებაში, მთელი მისი შემოსავალი ხმარდება სოფლის საერთო საჭიროებას.

25. გადამიჯნულ ნაკვეთების საზღვრებზე უნდა გაკეთდეს მიჯნის ნიშნები: სამნები ან ხის ბოძები.

IV

მიწით სარგებლობა.

მიწით სარგებლობის ფორმა, იქნება ის კომლეური, საზოგადოებითი, საამხანაგო თუ კომუნალური, თავისუფალია.

27. მიწათ-მოწყობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (переделы) საქართველოში აღიკვეთება.

28. რაც უნდა კულტურული გაუმჯობესება მოახდინოს მეურნემ მის ხვედრ მიწაზე, მას მიწის ნორმა არ ჩამოერთმევა, არც შეუმცირდება, თუ არ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საჭიროებისათვის უმაღლეს მთავრობის დადგენილებით.

29. მიწით სარგებლობის უფლება ისპობა: 1) მოსარგებლის სიკვდილით, 2) როცა მოსარგებლე უარს განაცხადებს მიწით სარგებლობაზე, 3) სასამართლოს გადაწყვეტილებით და 4) როცა მოსარგებლე უმიზეზოთ თავს გაანებებს მიწის დამუშავებას. ამ შემთხვევაში ჩამორთმეული მიწა გადადის თემის განკარგულებაში და ჩაირიცხება სათადარიგო ფონდში. უპირატესობა ჩამორთმეულ მიწის მიღებისა ეძლევა ახლობელ ნათესავებს იმ პირისას და მისივე ჩვენებით, რომელსაც ჩამოერთვა მიწა.

30. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწით მოსარგებლე თავის ნებით, ან იძულებით ანებებს თავს მიწით სარგებლობას, მას უნდა აენაზღაუროს მისი შრომის ნაყოფის საფასური (შენობა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, ნათესი და სხ.).

31. მიწით სარგებლობის უფლების განსხვისება (გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება ან იჯარით გაცემა) აკრძალულია და დამნაშავე პასუხის-გებაში მიეცემა.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევებში იჯარით მიწის გაცემა შეუძლია მხოლოდ შემთხვევით დაუძლურებულ კომლს (მოუსავლობით, საქონლის ჭირით, სიკვდილით ან მობილიზაციით) სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილების კონტროლს ქვეშ, რომელიც მოქმედებს მიწად-მოქმედების კომისარიატის საგანგებო განკარგულებით იჯარის შესახებ.

32. თემური მიწით-სარგებლობის მონაწილეთ ნება აქვთ ყოველ დროს გამოვიდენ თემური წესიდან და მიიღონ ხვედრი მიწის ნორმა ცალკე.

V

ნორმების დატოვება.

33. მიწის ნორმა ეტოვება ყოფილ საკუთარ მამულიდან მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც ცხოვრობენ ადგილზე და საკუთარის შრომით ფიზიკურით თუ გონებრივით მონაწილეობას იღებენ მათი მიწების დამუშავებაში.

შენიშვნა: ყოველ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც ცხოვრობს სოფლად თავის მიწაზე და სამსახურის შესრულებასთან პარალელურათ ეწევა სასოფლო მეურნეობას, ეტოვება ბალვენახებში და სახნავ მიწებში მხოლოდ ნახევარი დაწესებული ნორმისა.

34. ნორმა დაეტოვება ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც იძულებით არიან სამსახურში.

35. სოფლის წვრილ ხელოსნებს, თუ თავის შრომით ამუშავებენ მიწას, დაეტოვებათ ნახევარი ნორმა.

36. ნორმის დატოვების დროს სოფლის ოჯახის წევრებათ ითვლებიან მოსწავლენიც. 37 მუხლში მოხსენებული პირები ოჯახის წევრებათ არ ჩაითვლებიან.

37. მიწის ნორმა, გარდა სამოსახლოსი, არ დაეტოვება ვაჭრებს, სხვილ ხელოსნებს და მწარმოებლებს, როგორც ქალაქის ისე სოფლისას.

VI

მიწების დანაწილება.

38. მიწა მიეცემა ყველა მიწის მუშას, რომლის საცხოვრებელ წყაროს შეადგენს მხოლოდ სასოფლო მეურნეობა.

შენიშვნა: ყველა ისეთ პირს, რომელიც მიწის კომიტეტის გამორკვევით მოკლებულია მიწის მუშაობის უნარს, გარდა ქვრივ ობლებისა, ფონდის მიწა არ მიეცემა.

39. მიწების დანაწილების დროს პირველ რიგში უნდა იქნან დაკმაყოფილებულნი ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებიც 1917 წლამდე იყვნენ დასახლებულნი; თუ ამის შემდეგ აღმოჩნდება თავისუფალი მიწა, უნდა მიეცეს შემდეგ მოსულებს, უფრო ადრე მოსულთათვის უპირატესობის მიცემით.

შენიშვნა: ახლად მოსული უცხოელები მიწას ვერ მიიღებენ.

40. მიწების დანაწილების დროს მიწის კომიტეტი პირველ ყოვლისა აკმაყოფილებს უმიწაწყლოებს სამოსახლოებით და სხვა მიწებით და შემდეგ მცირე მიწის მქონეთ იმავე ნორმამდე როგორც უმიწაწყლოებს.

41. უმიწაწყლოთათვის სამოსახლოების მისაჩენათ პირველ ყოვლისა გამოყენებულ უნდა იქნან ჩამორთმეული სამოსახლოები ან მათი ნაჭრები, და როცა ასეთები არაა, სოფელზე მიკრული თავისუფალი მიწები, ისე რომ შეძლების დაგვარათ სამოსახლოს ზედ მიეკრას სახნავ მიწების ნორმაც.

42. მიწის კომიტეტებს კატეგორიულათ მოეთხოვებათ მიწების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლათ მიიღონ ყველა ზომები, რომ ხვედრი მიწა ამა თუ იმ პირს მიეცეს ერთ ნაჭრათ, რისთვისაც ფართოთ უნდა იქნას წარმოებული ნაჭრების გაცვლა.

43. როცა სოფელში არ არის საკმაო თავისუფალი ფონდი, კომიტეტი იღებს ზომებს, რომ მიწის მუშები დაკმაყოფილებულ იქნენ მოსაზღვრე სოფლების თავისუფალი ფონდიდან, ან სხვა ადგილებში გადასახლებით.

44. მიწების კომლეურათ დასანაწილებლათ წინასწარი პროექტი უნდა შესდგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაწილების დროს ატეხილი დავის გადაწყვეტა არ მოხერხდება ადგილზედვე თვით კომიტეტის მიერ. ამ შემთხვევაში წინასწარი პროექტი მიწების დანაწილებისა უნდა შეიცავდეს მოწინააღმდეგე მხარეების პრეტენზიების აღნუსხვას და თან ახლდეს პლანი. ეს პროექტი წარედგინება სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებას და მის მიერ საბოლოოთ უნდა იქნეს განხილული და გადაჭრილი.

VII

ახალშენების მოწყობა.

45. უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მცხოვრებთა გადასახლებას იმ ადგილიდან, სადაც მათ დასაკმაყოფილებლათ საკმაო მიწის ფონდი არ მოიპოვება, თავისუფალ საახალშენო ადგილებზე ახდენს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

46. იგივე კომისარიატი ახდენს საახალშენო ფონდის განსაზღვრას ისეთ რაიონებში, სადაც დაწესებული ნორმებით ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებაზე ზედმეტი მიწა მოიპოვება, იკვლევს ამ ფონდს და ამზადებს გადასახლების მსურველთა დასასახლებლად.

47. გადასახლებულთა მიწით დაკმაყოფილება ხდება იმავე ნორმით, რომელიც ეძლევა ადგილობრივ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთ (მუხ. 71).

48. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის თავისუფალ ფონდზე დასახლების უფლება აქვთ მხოლოდ მის ქვეშევრდომთ და მხოლოდ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

49. მიწად მოქმედების კომისარიატი საახალშენო რაიონის ბუნებრივი პირობების და ამ რაიონის ძველ ბინადრობიდან დაშორების მიხედვით უწევს დახმარებას გადასახლებულთ: ახალ ადგილზე გადაყვანით, შენობების ასაგები მასალით, სამეურნეო იარაღებით, მუშა საქონლით, სათესლე ხორბლით, საზრდოთი და საქონლის საკვებით პირველ მოსავლამდე საზოგადოებრივ შენობების აგებით და სხ.

50. გადასახლებულები ვალდებული არიან თავიანთი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე (ქვითკირის შენობები, ბაღები, ვენახები და სხ.) გადასცენ ადგილობრივ საბჭოთა განკარგულებაში ორი წლის განმავლობაში დღიდან დამკვიდრებისა ახალშენში.

VIII

სახალხო და კულტურულათ გაშენებული მამულები.

51. სხვილი კულტურული მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო სამეურნეო მნიშვნელობის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერეიები და სხ. არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ დარჩებიან კულტურულ საჩვენებელ სახალხო მამულებათ. ასეთ მამულების სახნავ სათესი მიწების რომელიმე ნაწილის გამოყენება საახალშენოთ ან ადგილობრივ სოფლელთა შორის დასანაწილებლათ უკიდურესი სივიწროვის გამო შეიძლება მხოლოდ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

52. იმ მაზრებში, სადაც ასეთი მამულები სულ არ არის, მიწადმოქმედების სამაზრო განყოფილება პროექტის შემუშავების დროს გადადებს შესაფერ ადგილზე საკმაო მიწას, რომ მოწყობილ და გაშენებულ იქნას მაზრაში ერთი ან რამოდენიმე კულტურულ-საჩვენებელი და საცდელი მამული.

53. კულტურულ საჩვენებელ და საცდელ მამულებისათვის თავისუფალი ფონდიდან მიწების გამოყოფის დროს უნდა შესდგეს წინასწარი პროექტი სათანადო გეგმით, რომელიც მოყვანილი იქნება სისრულეში მხოლოდ მისი დამტკიცების შემდეგ კომისარიატის მიერ.

54. მაღალ კულტურის ხეხილებით ნაშენი კერძო პირთა მამულები, თუნდაც ისინი აღემატებოდენ დაწესებულ ნორმას, არ უნდა იქნენ დანაწილებულნი.

55. კულტურულათ გაშენებული ადგილები, რომლებიც ეკუთვნიან ისეთ პირებს, რომლებიც მათ საკუთარის შრომით არ ამუშავებენ, გარდა ქვრივ ობლებისა, მოხუცებულ-დავრდომილთა, იძულებით სამსახურში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა და მიწის მუშა წითელ არმიელთა, ჩამორთმეულ უნდა იქნან მთლიანათ და გადაცემული შრომის ამხანაგობებზე ან არტელებზე.

56. ის პირნი, რომელნიც ზემოთ მოხსენებულ ხასიათის მამულებს საკუთარის შრომით ამუშავებენ და აგრეთვე ისინი, რომელნიც მიწას ვერ ამუშავებენ მათგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, როგორც ქვრივ-ობლები და სხ. (მუხ. 55), მაგრამ მათი მამული აღემატება დაწესებულ ნორმას, მოვალენი არიან შეუთანხმდენ ადგილობრივ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მცხოვრებთ და თავიანთი მეურნეობა აწარმოონ საამხანაგო ან საარტელო საფუძველზე მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ გამოცემულ წესდებებთან შეთანხმებით.

IX

კოლექტიური მეურნეობა.

57. კომუნებს, ამხანაგობებს ან არტელებს მიწადმოქმედების კომისარიატის ნებართვით შეიძლება გამოეყოს ესა თუ ის კულტურულათ დამუშავებული მიწა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლექტივში ჩაირიცხებიან მარტო იმ ან მომიჯნავე სოფლის უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიდაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივში შეიძლება წევრათ მიღება ერთი გარეშე პირის, თუ ის თავისი სპეციალური ცოდნით სასარგებლოა ამხანაგობისთვის.

58. კოლექტიურ მეურნეობათათვის ადგილის გამოყოფა ხდება წინასწარი გეგმის შედგენით, რომელიც უნდა დამტკიცებულ იქნას მიწად-მოქმედების კომისარიატის მიერ.

X

სამოსახლოების შესახებ.

59. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლია დაიტოვოს სამოსახლო ზომით არა უმეტეს 1200 კვადრ. საჟენისა ერთ ნაჭრათ.

60. როცა სამოსახლოს ზედ აკრავს იმდენი მიწა, რომ მთელი ნაჭერი აღემატება 1200 კვ. საჟენს, პატრონს, თუ მას მიწის ნორმის მიღების უფლება აქვს, უნდა დაეტოვოს მხოლოდ კულტურულათ გაშენებული ნაწილი (ვენახი, ბაღი, ბოსტანი, კარზე ტყე და სხ) პირველი კატეგორიის მიწის ანგარიშით; თავისუფალი ნაწილი ეზო გარემოსა (საბალახოთ ან სახნავათ გაშვებული მიწა) უნდა ჩამორთმეულ იქნას სამოსახლოებათ დასაჭრათ, თუ ამას საჭიროებს სოფლის მკვიდრთა მდგომარეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი თავისუფალი მიწაც დაეტოვება პატრონს სათანადო კატეგორიის ანგარიშით.

61. სამოსახლოების მოწყობის დროს უმიწაწყლოთ და ისეთ პირებს, რომლებსაც პატარა სამოსახლოები აქვთ, უნდა მიეცესთ სამოსახლოთ არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვად. საჟენისა ან თვით სოფელში ჩამონაჭერი მიწებიდან, ან სოფლის გარშემო მდებარე სახნავ ან საბალახო მიწებიდან და კალოებიდან; დანარჩენი მიწა—1200 კვ. დრ. საჟენამდე შესავსებათ—უნდა მიეცეს საყანე მიწების დარიგების დროს.

შენიშვნა: 37 მუხლში მოხსენებულ პირთ, რომელთა სამოსახლოს ნაკვეთი 1200 კვადრ. საჟენზე ნაკლებია, დანაკლისი არ შეევსებათ.

62. სოფლის გაფართოვებას მის გარშემო მდებარე საძოვარ ან სახნავ მიწების და კალოების ხარჯზე, რასაც გულისხმობს წინა მუხლი, ექნება ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს სოფლის მეკომურთა ორი მესამედი; თუ ასეთი უმრავლესობა არ შედგა, იმ შემთხვევაში იმ პირთ, რომელთაც სამოსახლოები უნდა მისცემოდა, სახნავ მიწების დანაწილების დროს მიეცემათ ზედმეტი 1200 კვ. საჟენი.

63. როცა სამოსახლო 300 კვ. საჟენზე ნაკლებია, პატრონს უნდა აეკრძალოს ასეთ სამოსახლოზე ახალი სახლის აგება გარდა 37 მუხლში მოხსენებული პირებისა, რომელთაც სამოსახლოს განახლების უფლება აქვთ, თუ სოფელი მათ მაგიერ თავისუფალ მიწას არ მისცემს მათი არჩევით.

64. სოფლის მეკომურთა ორ მესამედს შეუძლია ითხოვოს, რომ სოფელი მოწყობილი იქნას პლანზე. ასეთი თხოვნა სამაზრო მიწად მოქმედების განყოფილების დასკვნით იგზავნება მიწად-მოქმედების კომისარიატში დასამტკიცებლად. მოწინააღმდეგეს განსაჩივრების უფლება აქვს ერთი თვის ვადაში დღიდან სამაზრო განყოფილებიდან თხოვნის გაგზავნის კომისარიატში.

65. სოფლის მოსახლეობის გაფართოვების დროს ზემოხსენებულ საფუძველზე მიწის მზომელს ევალება შეადგინოს ახალი სამოსახლოების გეგმა ქუჩების და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილების (სკოლა, კოოპერატივი, წყალსადენი და სხ. ამგარის) აღნიშვნით.

XI.

მიწის ნორმები.

66. მიწის ნორმების გამოსამუშავებლათ რესპუბლიკის მასშტაბში საქართველო იყოფა შემდეგ ათ რაიონათ:

პირველი—შიგნით კახეთის რაიონი.	რომელშიდაც შედის თიანეთის მაზრის ნაწილი ზემო კახეთის ფარგლებში, (ალაზნის ხეობა), თელავის მაზრა მთელათ და სიღნაღის მაზრიდან ალაზნის ველი.
მეორე—გარეთ კახეთის რაიონი,	რომელშიდაც შედის სიღნაღის მაზრის დანარჩენი ნაწილი (ყაშების სამხრეთით) და თბილისის მაზრიდან ივრის ხეობა (საგარეჯოს და სართიჭალის სააგრარო რაიონები გარდა გომბორის თემისა).
მესამე—ყარაიის რაიონი,	რომელშიდაც შედის ყარაის და ქვედა ბორჩალო (კაჩაგანის, დამურჩიგასან ლინის, გიაურ არხის, არუხლო სარვანის და აშაგა-სარალის თემები).
მეოთხე—შუა და ზედა-ბორჩალოს რაიონი,	რომელშიც შედის ბორჩალოს მაზრის დანარჩენი ნაწილი და თბილისის მაზრიდან ასურეთის, თელეთის, დიღმის, ავჭალის, ალბულაღის, კოჯრის, მანგლისის და წალკის სააგრარო რაიონები.
მეხუთე—თიანეთ-დუშეთის ქვედა რაიონი,	რომელშიც შედის თიანეთის მაზრა გარდა მთიან ფშავ ხევსურეთისა და ალაზნის ხეობისა, თბილისის მაზრიდან გომბორის თემი, დუშეთის მაზრა გარდა ხევისა, გუდა მაყრის ხეობისა და მუხრანის და საგურამოს საგრარო რაიონებისა და გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველის ჩრდილოეთით.
მეექვსე—თიანეთ დუშეთის ზედა რაიონი,	რომელშიაც შედის თიანეთის მაზრის მთიანი ფშავ ხევსურეთი, დუშეთის მაზრიდან ხევი და გუდამაყრის ხეობა და [illegible] ოსეთის ნაწილი ჯავის ჩრდილოეთით.
მეშვიდე—ქართლის რაიონი,	რომელსაც შეადგენს მტკვრისა და ლიახვის ხეობა და დუშეთის მაზრიდან მუხრანის და საგურამოს სააგრარო რაიონები.
მერვე—მესხეთ-ჯავახეთის რაიონი,	რომელსაც შეადგენენ ახალციხის და ახალქალაქის მაზრები.
მეცხრე—რაჭა-ლეჩხუმ-შორაპნის რაიონი,	რომელსაც შეადგენენ რაჭის, ლეჩხუმის და შორაპნის მაზრები.
მეათე—ქვემო-იმერეთ-გურია-სამეგრელოს რაიონი,	რომელსაც შეადგენენ ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრები.

შენიშვნა: 1. სააგრარო რაიონების შემადგენლობა სოფლობით აღებულია იგივე რაც სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებებში.

შენიშვნა 2: დავა რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიჭერას შესახებ გადაწყდება მიწის კომიტეტებში.

67. ნორმაში დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწები იყოფა ოთხ კატეგორიათ:

პირველ კატეგორიაში ითვლება:	საეზოვე, ბაღი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე, ხელოვნურათ გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისთვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწები და აგრეთვე ის ურწყავი მიწები, რომლებიც კარგ მოსავალს იძლევიან.
მეორე კატეგორიაში ითვლება:	სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც სისტემატიურათ არ ირწყვებიან, ურწყავი სახნავი მიწები, რომლებიც საშუალო მოსავალს იძლევიან და ვაკე ჯაგნარები, რომლებზედაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავალი მოვა.
მესამე კატეგორიაში შედიან:	ყველა სხვა სახნავი მიწები და ეწრები.
მეოთხე „ „	ჩიგნარიანი ფერდოები და ქვიანი ჩიგნარები.
შენიშვნა:	გამოუსადეგარი მიწები, როგორც მაგალითად: გზები, რიყეები, ტბები მდინარეები, ღელეები, ხრამები, კლდეები, მეწყრები, და სხ. ამგვარი, თუ რომელიმე მათგანი რაიმე განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენს, ნორმაში არ ჩაითვლებიან.

68. მიწის ნორმა უნდა დაწესდეს საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახათ ითვლება თითეული ცალკე კომლი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს 3—5 სულისაგან შემდგარს.

69. როცა ოჯახი ხუთ სულზე მეტია მის ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთი მეათედი და თუ ოჯახში სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება იმდენიმე თითო ნაკლებ სულზე.

70. ნორმები მიწისა, რომლებიც უნდა დაეტოვოსთ ადგილის მეპატრონეთ მათი ყოფილი ადგილ მამულიდან შემდეგია:

რაოდენობა	ნორმები დესიატინებში				განსაკუთ. აზრი კომ. წევ.				
	კატეგორიები				რამდენი წევრის	წევ			
	I.	II.	III.	IV.		I.	II.	III.	IV.
პირველი	3	4 ნახ.	6	7 ნახ.	ორის	4 ნახ.	7	9 ნახ.	12
მეორე	4 ნახ.	6	7 ნახ.	9	ერთის	3	4	5	6
მესამე	4	6	8	10	„				
მეოთხე	4 ნახ	6	7 ნახ.	9	ორის	3	4 ნახ	6	7 ნახ.
მეხუთე	4	6	8	10					
მეექვსე	4 ნახ	6	7 ნახ.	9					
მეშვიდე	3	5	6	7 ნახ.					
მერვე	3 ნახ	5	6 ნახ	8					
მეცხრე	2	3 ნახ.	5	6 ნახ.					
მეათე	2	3	5	7					

71. მიწების დანაწილების დროს მცირე მიწის მქონეთ უნდა შეევსოთ და უმიწაწყლოებს მიეცესთ სამ მეოთხედამდე ზემოთ მოყვანილი ნორმისა.

XII.

მიწის კომიტეტების განსაკუთრებული უფლებები

72. მიწის კომიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს სოფლის მცხოვრებთ თავის საჭიროებისათვის შესაფერი ბინა საკანცელარიო და სახაზავი მუშაობისათვის სავარგისი, გათბობით და განათებით, ბინის დარაჯი, ცხენები ან სხვა გადასაზიდი საშუალება, როცა სამუშაო დაშორებულია კომიტეტის ბინიდან სამ ვერსზედ მეტს, ერთი მუდმივი მუშა (რეეჩნიკი) მიწის მზომლისთვის, მუშები ტყის გასაჩეხათ და გეოდეზიური იარაღის გადასატანათ და მასალა საზღვრებზე ნიშნების ჩასაყრელათ.

73. მიწის კომიტეტის ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეულ წევრებს ეძლევათ სოფლისაგან განსაკუთრებული ჯილდო ფულით ან ნატურით, რომლის რაოდენობასაც და აგრეთვე წინა მუხლში ჩამოთვლილ ხარჯებს განსაზღვრავს მიწის კომიტეტის ამრჩევი ყრილობა.

განსაკუთრებული აზრი.

მიწათ მოქმედების კომისარიატისაგან დანიშნულ კომისიის ზოგი წევრისა მიწათ-მოწყობის დებულების პროექტის შესახებ.

მუხლი 24 პროექტის ერთი წევრის აზრით სათადარიგო ფონდი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ პროცენტს.

„ 33 „ ამოიშალოს სიტყვები „თუ გონებრივით“.

„ 34 „ შეიცვალოს შემდეგნაირათ: ნორმა ეტოვება ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მობილიზაციით მოწყვეტილი იქნება სასოფლო მეურნეობას.

„ 38 „ შენიშვნაში ქვრივ-ობლების შემდეგ ჩაემატოს: მოხუცებულ დავრდომილებისა.

„ 55 „ „იძულებით სამსახურში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა“ მაგიერ ჩაიწეროს: მობილიზაციის გამო დროებით სასოფლო მეურნეობის მოწყვეტილ მუშა-მოსამსახურეთა.

სარედაქციო კოლეგია.